

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ  
შეთანხმება

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის  
ასოციაციის

ქვეყნებსა

და

საქართველოს შორის

## პრეამბულა

ისლანდია, ლიხტენშტაინის სამთავრო, ნორვეგიის სამეფო და შვეიცარიის კონფედერაცია (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „EFTA სახელმწიფოები“)

და

საქართველო,

შემდგომში ცალცალკე მოხსენიებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“,

**აღიარებენ** საერთო სურვილს, მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარების გზით განამტკიცონ კავშირი, ერთის მხრივ, EFTA სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის;

**გამოთქვამენ სურვილს**, შექმნან ხელსაყრელი პირობები ურთიერთშორის ვაჭრობის განვითარებისა და დივერსიფიკაციისთვის და საერთო ინტერესის სფეროებში კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის, თანასწორობის, ურთიერთსარგებლობის, არადისკრიმინაციულობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე;

**განზრახული აქვთ**, განავითარონ და უფრო მეტად განამტკიცონ მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძვნებელი მარაკეშის შეთანხმებითა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ვმო-ს შეთანხმება“) და მის შესაბამისად გაფორმებული სხვა შეთანხმებებით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებებისა და ვალდებულებების საფუძველზე, და ამით ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობის ჰარმონიულ განვითარებასა და გაფართოებას;

**კიდევ ერთხელ ადასტურებენ** თავიანთ მზადყოფნას, დაიცვან დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები საერთაშორისო სამართლით, მათ შორის, გაეროს ქარტიითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად;

**მიზნად ისახავენ**, შექმნან დასაქმების ახალი შესაძლებლობები, გააუმჯობესონ ცხოვრების დონე და, ამასთანავე, უზრუნველყონ ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მაღალი დონე;

**კიდევ ერთხელ ადასტურებენ** თავიანთ მზადყოფნას, იღვაწონ მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად და აღიარებენ, თანმიმდევრული მიდგომებისა და ურთიერთხელშეწყობის მნიშვნელობას ვაჭრობის, გარემოს დაცვისა და შრომის პოლიტიკის განხორციელებაში;

**განზრახული აქვთ**, უზრუნველყონ ამ შეთანხმების შესრულება გარემოს შენარჩუნებისა და დაცვის მიზნების შესაბამისად, რაციონალური გარემოსდაცვითი მართვის გზით და ხელი შეუწყონ მსოფლიოს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად;

**არ ივიწყებენ** იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებებით აქვთ დაკისრებული, რომელთა მონაწილეც თავად არიან, ასევე სამუშაო ადგილზე ძირითადი პრინციპებისა და უფლებების დაცვის ვალდებულებას, მათ შორის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ILO“) იმ შესაბამისი კონვენციებით გათვალისწინებულ პრინციპებს, რომელთა წევრებიც თავად არიან;

**აღიარებენ** მხარეების სავაჭრო საზოგადოებებისათვის პროგნოზირებადობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას;

**ადასტურებენ** თავიანთ მზადყოფნას, აღკვეთონ და ებრძოლონ კოპუფციას საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირებისას და ხელი შეუწყონ გამჭვირვალობის პრინციპისა და ეფექტურ სახელმწიფო მმართველობის განხორციელებას;

**აღიარებენ** ეფექტური კორპორატიული მმართველობისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას მდგრადი განვითარებისთვის და ადასტურებენ, რომ მიზნად ისახავენ, ხელი შეუწყონ საწარმოებს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და ნორმების დაცვაში, როგორცაა: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპები ტრანსნაციონალური საწარმოებისთვის, OECD-ის კორპორატიული მმართველობის პრინციპები და გაერთიანებული ერების (UN) გლობალური შეთანხმება;

**დარწმუნებულნი არიან**, რომ ეს შეთანხმება გაზრდის მათი ფირმების კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე და შექმნის მათ შორის ეკონომიკური, სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების ხელშემწყობ პირობებს;

**თანხმდებიან**, ზემოთქმულის გათვალისწინებით, დადონ შემდეგი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (შემდგომში წოდებული, როგორც „შეთანხმება“):

## თავი 1

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1.1

##### მიზნები

1. EFTA სახელმწიფოები და საქართველო, წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, ქმნიან თავისუფალი ვაჭრობის ზონას ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად, რომელიც დაფუძნებულია საბაზრო ეკონომიკებს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე და ითვალისწინებს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვას კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების წახალისების მიზნით.
2. ამ შეთანხმების მიზნებია:
  - (a) საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაცია „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების („GATT 1994“) XXIV მუხლის შესაბამისად;
  - (b) მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაცია „მომსახურებით ვაჭრობის შესახებ“ გენერალური შეთანხმების („GATS“) V მუხლის შესაბამისად;
  - (c) საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდის ერთობლივად უზრუნველყოფა;
  - (d) ვაჭრობისთვის ზედმეტი ტექნიკური ბარიერებისა და არასაჭირო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების თავიდან აცილება, აღმოფხვრა ან შემცირება;
  - (e) საკუთარ ქვეყნებში კონკურენციის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, თუ იგი მხარეებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს უკავშირდება;
  - (f) მხარეთა სახელმწიფო შესყიდვის ბაზრების მეტი ორმხრივი ლიბერალიზაციის მიღწევა;
  - (g) ინტელექტუალური საკუთრების უფლების ადეკვატური და ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

- (h) საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს მდგრადი განვითარების მიზნის განხორციელებას და უზრუნველყოფილ იქნას მხარეების სავაჭრო ურთიერთობებში ამ მიზნის ინტეგრირება და ასახვა;
- (i) აღნიშნული ზომების საშუალებით, საერთაშორისო ვაჭრობის ჰარმონიული განვითარებისა და გაფართოების ხელშეწყობა.

## მუხლი 1.2

### *შეთანხმების მოქმედების რეგიონი*

1. თუ დანართში I სხვაგვარად არაა განსაზღვრული, ეს შეთანხმება ეხება:
  - (a) მხარის სახმელეთო ტერიტორიას, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას, ასევე, მხარის ტერიტორიის ზემოთ არსებულ საჰაერო სივრცეს, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; და
  - (b) მხარის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფს, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.
2. ეს შეთანხმება არ ეხება სვალბარდში ნორვეგიის ტერიტორიას, საქონლით ვაჭრობის გარდა.

## მუხლი 1.3

### *ამ შეთანხმებით რეგულირებადი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები*

1. ეს შეთანხმება ეხება სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს, ერთის მხრივ, EFTA ცალკეულ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, მაგრამ არა სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს EFTA ცალკეულ სახელმწიფოებს შორის, თუ ამ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული.
2. 1923 წლის 29 მარტს შვეიცარიასა და ლიხტენშტაინს შორის გაფორმებული საბაჟო შეთანხმების ფარგლებში დაარსებული საბაჟო კავშირიდან გამომდინარე, შვეიცარია ლიხტენშტაინს წარმოადგენს აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებში.

## მუხლი 1.4

### ***სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან ურთიერთ მიმართება***

1. მხარეები ადასტურებენ ვმო-ს შეთანხმებითა და მის საფუძველზე გაფორმებული სხვა შეთანხმებებით, აგრეთვე, ნებისმიერ სხვა საერთაშორისო შეთანხმებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, როგორც აღნიშნული შეთანხმებების მხარეები.
2. თუ მხარეს მიაჩნია, რომ მეორე მხარის მიერ საბაჟო კავშირების, თავისუფალი სავაჭრო ზონების, საზღვისპირა ვაჭრობის მექანიზმების ან სხვა პრეფერენციული შეთანხმებების შენარჩუნება ან შექმნა შეთანხმებით გათვალისწინებულ სავაჭრო რეჟიმის შეცვლას იწვევს, იგი უფლებამოსილია კონსულტაციების გამართვა მოითხოვოს. ამგვარი შეთანხმების დამდებმა მხარემ მომთხოვნ მხარეს უნდა მიცეს ადეკვატური შესაძლებლობა გამართოს კონსულტაციები.

#### **მუხლი 1.5**

##### ***ვალდებულებების შესრულება***

1. თითოეული მხარე ახორციელებს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელ ყველა ზოგად თუ კონკრეტულ ზომას.
2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მათი შესაბამისი ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და მთავრობები, ასევე არასამთავრობო ორგანოები, ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ან მთავრობების მიერ დელეგირებული სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებისას, ასრულებდნენ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებასა და მოვალეობას.

#### **მუხლი 1.6**

##### ***გამჭვირვალობა***

1. მხარეები აქვეყნებენ ან სხვაგვარად ასაჯაროებენ თავიანთ კანონებს, რეგულაციებს, სასამართლო გადაწყვეტილებებს, ზოგადი ხასიათის ადმინისტრაციულ აქტებს, აგრეთვე, მათ შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ამ შეთანხმების შესრულებაზე.

2. მხარეები დაუყოვნებლივ პასუხობენ კონკრეტულ კითხვებზე და, მოთხოვნის შემთხვევაში, ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას პირველ პუნქტში მითითებული საკითხების შესახებ.

3. ეს შეთანხმება არ უნდა მოითხოვდეს მხარისგან გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მიიჩნევა კონფიდენციალურ ინფორმაციად მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ან რომლის გამჟღავნება ხელს შეუშლის კანონის აღსრულებას ან სხვაგვარად მოვა წინააღმდეგობაში საზოგადოებრივ ინტერესებთან, ან რომელიც ზიანს მიაყენებს რომელიმე მეწარმე სუბიექტის ლეგიტიმურ კომერციულ ინტერესებს.

4. ამ მუხლსა და შეთანხმების სხვა ნაწილებით განსაზღვრულ გამჭვირვალობის მარეგულირებელ დებულებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ამ უკანასკნელს შეუსაბამობის ნაწილში.

## თავი 2

### არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა

#### მუხლი 2.1

##### *რეგულირების სფერო*

ეს თავი ეხება მხარეებს შორის დანართში I ჩამოთვლილი პროდუქტებით ვაჭრობას.

#### მუხლი 2.2

##### *საქონლის წარმოშობის წესები და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდები*

საქონლის წარმოშობის წესები და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდები მოცემულია დანართში II.

#### მუხლი 2.3

##### *იმპორტის გადასახადი*

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე მხარეები აუქმებენ ყველა საბაჟო გადასახადსა და მოსაკრებელს, რომელთაც ხელშემკვრელი მხარის

ქვეყანაში წარმოებულ, მუხლით 2.1 განსაზღვრულ, იმპორტირებულ პროდუქტებზე არსებული საბაჟო გადასახადის ეკვივალენტური ეფექტი აქვს. დაუშვებელია ახალი საბაჟო გადასახადის ან საბაჟო გადასახადის ეკვივალენტური ეფექტის მქონე მოსაკრებლის დაწესება.

2. იმპორტის გადასახადი და იმპორტის გადასახადის ეკვივალენტური ეფექტის მქონე მოსაკრებელი მოიცავს პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის გადასახადს ან მოსაკრებელს, მათ შორის ნებისმიერი სახის დამატებით იმპორტის გადასახადს ან დამატებით მოსაკრებელს, მაგრამ არ მოიცავს არცერთ მოსაკრებელს, რომელიც დაწესებულია GATT 1994-ის მუხლების III და VIII შესაბამისად.

#### მუხლი 2.4

##### *ექსპორტის გადასახადი*

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე, მხარეები აუქმებენ ყველა საბაჟო გადასახადსა და სხვა მოსაკრებელს ნებისმიერი სახის დამატებითი მოსაკრებლებისა და სხვა სახის შენატანების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის ქვეყანაში საქონლის ექსპორტთან.

2. დაუშვებელია ახალი საექსპორტო გადასახადების ან მოსაკრებლების დაწესება მხარეების მიერ, რომლებიც დაკავშირებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის ქვეყანაში საქონლის ექსპორტთან.

#### მუხლი 2.5

##### *საბაჟო ღირებულების განსაზღვრა<sup>1</sup>*

GATT 1994-ის მუხლი VII და ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების GATT 1994-ის VII მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმების პირველი ნაწილი, ასახულია ამ შეთანხმებაში და მის ნაწილს წარმოადგენს, *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით mutatis mutandis*.

#### მუხლი 2.6

---

<sup>1</sup> შვეიცარია იყენებს, საბაჟო გადასახადებს წონისა და რაოდენობის მიხედვით და არა ადვალორულ გადასახადებს.



### **რაოდენობრივი შეზღუდვები**

GATT 1994-ის XI მუხლის პირველი პუნქტი, ასახულია და გამოიყენება ამ შეთანხმებაში და მის ნაწილს წარმოადგენს, *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით mutatis mutandis*.

#### მუხლი 2.7

### **გადასახდელები და ფორმალობები**

GATT 1994-ის VIII მუხლი გამოიყენება და ასახულია ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს სმის ნაწილს, *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით mutatis mutandis III დანართის მე-9 მუხლი თანახმად*.

#### მუხლი 2.8

### **საერთაშორისო დაბეგვრა და რეგლამენტები**

GATT 1994-ის მუხლი III, გამოიყენება და ასახულია ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს, *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით mutatis mutandis*.

#### მუხლი 2.9

### **ტექნიკური რეგლამენტები ვაჭრობაში**

1. თუ ამ მუხლით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ტექნიკურ რეგლამენტებზე, სტანდარტებსა და შესაბამისობის შეფასებებზე ვრცელდება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ ვმო-ს შეთანხმება (შემდგომში „TBT შეთანხმება“), რომელიც ასახულია ამ შეთანხმებაში და მის ნაწილს წარმოადგენს, *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით mutatis mutandis*.

2. მხარეები ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობისათვის განსაზღვრავენ საკონტაქტო პირებს.

3. პირველი პარაგრაფის დებულებების დაურღვევლად, მხარეები თანხმდებიან, გამართონ ტექნიკური კონსულტაციები, იმისათვის, რომ მიაღწიონ სათანადო შეთანხმებას TBT შეთანხმების შესაბამისად, იმ შემთხვევაში როდესაც ერთი მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარემ მიიღო ან

აპირებს მიიღოს ისეთი ზომა, რომელიც არ შეესაბამება TBT შეთანხმებას. ამგვარი კონსულტაციები უნდა გაიმართოს მოთხოვნის მიღებიდან 40 დღეში. მხარის მოთხოვნით ამგვარი კონსულტაციები იმართება ერთობლივი კომიტეტის ფარგლებში. იმ შემთხვევაში თუ კონსულტაციები იმართება ერთობლივი კომიტეტის გარეშე, ეს უკანასკნელი ინფორმირებული უნდა იყოს ამის შესახებ. ამგვარი კონსულტაციების ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერი შეთანხმებული მეთოდით.

4. მხარეებმა წინასწარ უნდა აცნობონ ერთმანეთს EU-თან მიმართებაში არსებულ რეჟიმში პოტენციური მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. თუ EU და თითოეული მხარე თანხმდება ტექნიკურ რეგლამენტებთან, სტანდარტებთან და შესაბამისობის შეფასებასთან მიმართებაში ეკვივალენტური რეჟიმის გამოყენებაზე, მაშინ მხარეები დაუყონებლივ უნდა შეთანხმდნენ აღნიშნული რეჟიმის ერთმანეთის მიმართ გამოყენებაზე.<sup>2</sup>

5. მხარეებმა წინასწარ უნდა აცნობონ ერთმანეთს მეორე მხარესთან დაკავშირებულ რეჟიმში პოტენციური მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, იმ სფეროებში რომლებიც განსხვავდება მე-4 პუნქტში მითითებული სფეროებისაგან. მხარემ, მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე და TBT შეთანხმების მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს მომთხოვნი მხარის EU კანონმდებლობის შესაბამისი პროდუქტების მიმართ იმავე რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც გამოიყენება EU-ს პროდუქტების მიმართ

## მუხლი 2.10

### *ვაჭრობის ხელშეწყობა*

EFTA სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეები, III დაბართის შესაბამისად:

- (a) მაქსიმალურად ამარტივებენ საქონლით ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების პროცედურებს;
- (b) ხელს უწყობენ მხარეებს შორის მრავალმხრივ თანამშრომლობას ვაჭრობის ხელშეწყობი საერთაშორისო კონვენციებისა და

---

<sup>2</sup> მხარეები აღიარებენ ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ 1992 წლის შეთანხმებას და ამ შეთანხმების დანართში II მითითებულ ევროპის კავშირის ნებისმიერ აქტს, აგრეთვე 1999 წლის ევროპის კავშირსა და შვეიცარიას შორის ურთიერთაღიარების შეთანხმებას, ამ სამ შეთანხმებას, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლამდე და მის შემდეგ შეტანილი ცვლილებების ჩათვლით.

რეკომენდაციების შემუშავებასა და განხორციელებაში მეტი ჩართულობისათვის;

- (c) თანამშრომლებენ ვაჭრობის ხელშესაწყობად ერთობლივი კომიტეტის ფარგლებში.

#### მუხლი 2.11

##### *საქონლით ვაჭრობის ქვეკომიტეტი*

1. იქმნება საქონლით ვაჭრობის ქვეკომიტეტი (შემდგომში, „ქვეკომიტეტი“).
2. ქვეკომიტეტის მანდატი განსაზღვრულია დანართში IV.

#### მუხლი 2.12

##### *სახელმწიფო სავაჭრო საწარმოები*

GATT 1994-ის XVII მუხლი და GATT 1994-ის XVII მუხლის განმარტების შესახებ შეთანხმება ასახულია და გამოიყენება ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს, *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით mutatis mutandis*.

#### მუხლი 2.13

##### *სუბსიდიები და საკომპენსაციო ზომები*

1. სუბსიდიებსა და საკომპენსაციო ზომებთან დაკავშირებით მხარეთა უფლებები და ვალდებულებები რეგულირდება GATT 1994-ის მუხლებით VI და XVI და სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ ვმო-ს შეთანხმებით, გარდა მეორე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. ერთი მხარის მიერ, სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ ვმო-ს შეთანხმების მე-11 მუხლის შესაბამისად, მეორე მხარის მიერ განხორციელებული სავარაუდო სუბსიდიის არსებობის, ხარისხისა და ეფექტის დასადგენად მოკვლევის ჩატარებამდე, მოკვლევის მსურველი მხარე წერილობით შეტყობინებას უგზავნის იმ მხარეს, რომლის საქონელიც ექვემდებარება მოკვლევას, და განუსაზღვრავს 45-დღიან ვადას კონსულტაციების გასამართად ორივე მხარისათვის მისაღები გამოსავლის

მოსაძებნად. რომელიმე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, კონსულტაციები ტარდება ერთობლივ კომიტეტში შეტყობინების მიღებიდან 20 დღის ვადაში.

## მუხლი 2.14

### *ანტიდემპინგი*

1. მხარეები ცდილობენ, თავი შეიკავონ GATT 1994-ის VI მუხლსა და GATT 1994-ის VI მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებაში (შემდგომში „ანტიდემპინგური შეთანხმება“) დადგენილი ანტიდემპინგური პროცედურების ერთმანეთის წინააღმდეგ გამოყენებისგან.
2. მხარის მიერ სათანადოდ დასაბუთებული განაცხადის მიღებისას და ანტიდემპინგური შეთანხმების შესაბამისად მოკვლევის დაწყებამდე, მხარე წერილობით შეტყობინებას უგზავნის მეორე მხარეს, რომლის საქონელიც, სავარაუდოდ, დემპინგს დაექვემდებარა და კონსულტაციებისათვის ადგენს 60-დღიან ვადას ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავლის მოსაძებნად. რომელიმე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, კონსულტაციები ტარდება ერთობლივ კომიტეტში შეტყობინების მიღებიდან 20 დღის ვადაში..
3. მხარის მიერ ანტი-დემპინგური ზომის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული ზომის გამოყენება წყდება მისი დაწესებიდან, არაუგვიანეს, ხუთი წლის შემდეგ.
4. მხარე არ იწყებს ანტი-დემპინგურ მოკვლევას ერთი და იმავე მხარის ერთი და იმავე პროდუქტზე ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მიიღებს გადაწყვეტილებას ანტი-დემპინგური ზომების არ გატარების ან გაუქმების თაობაზე ან ზომის გაუქმებიდან ამ მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად.
5. თუ მხარე გადაწყვეტს ანტი-დემპინგური გადასახადის დაწესებას, მხარე იყენებს „ნაკლები გადასახადის“ წესს და გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს იმგვარად, რომ იგი დემპინგის ზღვარს არ აღემატებოდეს, თუ ასეთი ნაკლები გადასახადი საკმარისი იქნება ადგილობრივი მრეწველობისთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.
6. ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, ერთობლივ კომიტეტი განიხილავს, საჭიროა თუ არა მათ შორის ანტი-დემპინგური ზომების გატარების შესაძლებლობის შენარჩუნება. თუ პირველი განხილვისას მხარეები გადაწყვეტენ, რომ ამგვარი შესაძლებლობის შენარჩუნება საჭიროა, შემდგომში განხილვები ერთობლივი კომიტეტის მიერ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება.

## მუხლი 2.15

### **გლობალური დაცვითი ზომები**

თითოეული მხარე ინარჩუნებს GATT 1994-ის მუხლსა XIX და დაცვითი ზომების შესახებ ვმო-ს შეთანხმებაში განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს. აღნიშნულ ვმო-ს დებულებებით გათვალისწინებული ზომების გატარებისას, მხარე ვმო-ს სამართლისა და იურისპუნდენციის შესაბამისად და ეროვნული კანონმდებლობის დაცვით, გამორიცხავს ერთი ან მეტი მხარის მიერ წარმოებული პროდუქტის იმპორტს, თუ ამგვარ იმპორტს თავისთავად არ მოაქვს სერიოზული ზიანი ან არ ქმნის სერიოზული ზიანის გამოწვევის საფრთხეს.

## მუხლი 2.16

### **დროებითი დაცვითი ზომები**

1. თუ ამ შეთანხმებაში განსაზღვრული საბაჟო გადასახადის შემცირების ან გაუქმების შედეგად, მხარის მიერ წარმოებული რომელიმე პროდუქტის იმპორტი ხორციელდება მეორე მხარის ტერიტორიაზე ისეთი გაზრდილი ოდენობით, აბსოლუტურ გამოსახულებაში ან ადგილობრივ პროდუქციასთან შედარებით, და ისეთი პირობებით, რომელიც არსებითად იწვევს სერიოზულ ზიანს ან ქმნის სერიოზული ზიანის გამოწვევის საფრთხეს იმპორტიორი მხარის ტერიტორიაზე მსგავსი ან უშუალო კონკურენციაში მყოფი პროდუქტების მწარმოებელი ადგილობრივი მრეწველობისთვის, იმპორტის განმახორციელებელ მხარეს შეუძლია მიიღოს დროებითი დაცვითი ზომები იმ მინიმუმი მოცულობით, რაც ზიანის გამოსწორების ან თავიდან აცილებისთვისაა აუცილებელი, მე-2-9 პუნქტების შესაბამისად.

2. დროებითი დაცვითი ზომები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვითი ზომების შესახებ ვმო-ს შეთანხმებით დადგენილი პროცედურების მიხედვით ჩატარებული მოკვლევა აშკარად აჩვენებს, რომ გაზრდილმა იმპორტმა სერიოზული ზიანი გამოიწვია ან ქმნის სერიოზული ზიანის გამოწვევის საფრთხეს.

3. თუ პირველ პუნქტში განსაზღვრული პირობები დაკმაყოფილებულია, იმპორტის განმახორციელებელ მხარეს შეუძლია გააატაროს ზომები, რომლებიც ითვალისწინებს პროდუქტზე საბაჟო გადასახადის გაზრდას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ქვემოთ მოცემულიდან უფრო ნაკლებ გადასახადს:

- (a) დროებითი დაცვითი ზომების გატარებისას გამოყენებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი გადასახადის განაკვეთი;
- (b) ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღის წინა დღეს გამოყენებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი გადასახადის განაკვეთი.

4. დროებითი დაცვითი ზომები გამოიყენება, არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში. უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში, იმპორტის განმახორციელებელმა მხარემ ზომების გამოყენების პერიოდი შეიძლება გაზარდოს, არაუმეტეს, სამ წლამდე. ექსპორტის განმახორციელებელ მხარეებს, რომლებიც დაზარალდნენ დროებითი დაცვითი ზომების გახანგრძლივებული გამოყენების გამო, იღებენ კომპენსაციას სავაჭრო ლიბერალიზაციის არსებითად ეკვივალენტური ფორმით. დროებითი დაცვითი ზომები არ გამოიყენება ისეთი პროდუქტის იმპორტისას, რომელზეც ადრე ვრცელდებოდა ამგვარი ზომა.

5. მხარე, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად აპირებს დროებითი დაცვითი ზომების გატარებას ან მათ გახანგრძლივებას, ნებისმიერ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ატყობინებს საკუთარ განზრახვას სხვა მხარეებს ზომის გამოყენებამდე ან გახანგრძლივებამდე. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ყველა სათანადო ინფორმაციას, მათ შორის, გაზრდილი იმპორტისგან გამოწვეული სერიოზული ზიანის ან მისი გამოწვევის საფრთხის მტკიცებულებას, შესაბამისი პროდუქტის ზუსტ აღწერილობას და შემოთავაზებულ ზომას, აგრეთვე, ზომის გატარების დაწყების შემოთავაზებულ თარიღს, სავარაუდო ხანგრძლივობას და მის ეტაპობრივი გაუქმების გრაფიკს. მე-4 პუნქტის მიხედვით ზომების გახანგრძლივების შემთხვევაში, შეტყობინებაში ასევე უნდა მიეთითოს სავარაუდო კომპენსაცია.

6. ერთობლივი კომიტეტი, შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში, შეისწავლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, რათა ხელი შეუწყოს საკითხის ორმხრივად მისაღები გზით გადაჭრას. ამგვარი გამოსავლის არარსებობის შემთხვევაში, პრობლემის მოსაგვარებლად, იმპორტის განმახორციელებელმა მხარემ შეიძლება გაატაროს ან გაახანგრძლივოს დროებითი დაცვითი ზომები მე-3 პუნქტის შესაბამისად. თუ არ არსებობს მხარეებს შორის შეთანხმება მე-4 პუნქტის შესაბამისად კომპენსაციის თაობაზე, მხარეს, რომლის პროდუქტის მიმართაც ხორციელდება დაცვის დროებითი ზომა, შეუძლია განახორციელოს საკომპენსაციო ღონისძიებები. დროებითი დაცვითი ზომისა და საკომპენსაციო ღონისძიების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეუწყოს სხვა მხარეებს. დროებითი დაცვითი ზომისა და საკომპენსაციო ღონისძიების შერჩევას უპირატესობა ენიჭება იმ ზომას, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეუშლის ხელს ამ შეთანხმების განხორციელებას. საკომპენსაციო

ლონისძიებების განმახორციელებელი მხარე აღნიშნულ ღონისძიებებს მხოლოდ იმ მინიმალური პერიოდის განმავლობაში ახორციელებს, რომელიც საჭიროა არსებითად ეკვივალენტური ვაჭრობის შედეგების მისაღწევად და, ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ დროებითი დაცვითი ზომის გახანგრძლივების დროს.

7. კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც დაყოვნება გამოიწვევს ძნელად გამოსასწორებელ ზიანს, მხარეს შეუძლია გამოიყენოს დროებითი პირობითი დაცვითი ზომა, თუ წინასწარი შეფასებით აშკარაა, რომ გაზრდილი იმპორტი ადგილობრივ მრეწველობისთვის სერიოზულ ზიანს ან ზიანის მიყენების საფრთხეს იწვევს. მხარე, რომელსაც განზრახული აქვს ამგვარი ზომის გამოყენება, დაუყოვნებლივ ატყობინებს საკუთარი განზრახვის შესახებ სხვა მხარეებს. ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების შესრულება იწყება შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში.

8. ნებისმიერი დროებითი პირობითი დაცვითი ზომის გამოყენება წყდება, არაუგვიანეს, 200 დღის ვადაში. დროებითი დაცვის ნებისმიერი ამგვარი პირობითი ზომის გამოყენების პერიოდი ჩაითვლება, შესაბამისად, როგორც მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დროებითი დაცვითი ღონისძიების მოქმედების პერიოდის ან ამ პერიოდის ნებისმიერი გაგრძელების ნაწილად. ტარიფის ნებისმიერი გაზრდილი ოდენობა დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს, თუ მე-2 პუნქტში მითითებული მოკვლევის შედეგად არ დადგინდება, რომ პირველ პუნქტში გათვალისწინებული პირობები დაკმაყოფილებულია.

9. დროებითი დაცვითი ზომების გამოყენება შესაძლებელია ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა.

## მუხლი 2.17

### **ზოგადი გამონაკლისები**

GATT 1994-ის XX მუხლი გამოიყენება და ასახულია ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით *mutatis mutandis*.

## მუხლი 2.18

### **უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამონაკლისები**

GATT 1994-ის XXI მუხლი გამოიყენება და ასახულია ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით *mutatis mutandis*.

## მუხლი 2.19

### **საგადამხდელო ბალანსი**

1. მხარეს, რომელსაც საგადამხდელო ბალანსში სერიოზული სირთულეები აქვს, ან ამგვარი საფრთხე გარდაუვალია, GATT 1994-ისა და GATT 1994-ის საგადამხდელო ბალანსთან დაკავშირებული დებულებების შესახებ ვმო-ს შეთანხმების მიხედვით, შეუძლია, შეზღუდული მოქმედების ვადით, გაატაროს ვაჭრობის შემზღუდველი ზომები, რომლებიც არ იქნება დისკრიმინაციული ხასიათის და არ გასცდება საგადამხდელო ბალანსის მოსაწესრიგებლად საჭირო ზომებს.
2. ამ მუხლში განსაზღვრული ზომის განხორციელებისას მხარე დაუყოვნებლივ აუწყებს მის შესახებ სხვა მხარეებს.

## თავი 3

### **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა**

## მუხლი 3.1

### **რეგულირების სფერო**

ეს თავი ეხება მხარეებს შორის იმ პროდუქტებით ვაჭრობას, რომლებიც არ არის შეტანილი პირველი დანართის ჩამონათვალში., ეს პროდუქტები შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „სასოფლო სამეურნეო პროდუქტები“ .

## მუხლი 3.2

### **სატარიფო შეღავათები**

1. EFTA სახელმწიფოებში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საქართველო აწესებს სატარიფო შეღავათებს, როგორც ეს განსაზღვრულია, V, VI და VII დანართებით .



2. საქართველოში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე თითოეული EFTA სახელმწიფო აწესებს სატარიფო შეღავათებს, როგორც ეს განსაზღვრულია, V, VI და VII დანართებით.

### მუხლი 3.3

#### **სხვა დებულებები**

ამ თავში მითითებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობასთან დაკავშირებით გამოიყენება მე-2 თავის შემდეგი დებულებები *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით mutatis mutandis*: 2.2 წარმოშობის წესები და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდები, 2.4 ექსპორტის გადასახადი, 2.5 საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, 2.6 რაოდენობრივი შეზღუდვები, 2.7 გადასახდელები და ფორმალობები, 2.8 შიდა დაბეგვრა და რეგულირება, 2.9 ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, 2.10 ვაჭრობის ხელშეწყობა, 2.12 სახელმწიფო სავაჭრო საწარმოები, 2.14 ანტი-დამპინგი, 2.15 საერთო დაცვითი ზომები, 2.16 დროებითი დაცვითი ზომები, 2.17 ზოგადი გამონაკლისები, 2.18 უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამონაკლისები, 2.19 საგადამხდელო ბალანსი.

### მუხლი 3.4

#### **დიალოგი**

მხარეები განიხილავენ ნებისმიერ სირთულეს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობისას და დიალოგისა და კონსულტაციების გზით შეეცდებიან შესაბამისი გამოსავალის პოვნას.

### მუხლი 3.5

#### **შემდგომი ლიბერალიზაცია**

მხარეებს კისრულობენ ვალდებულებას არ შეაჩერონ ძალისხმევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად, ითვალისწინებენ რა გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესახებ შეთანხმებებს, მხარეებს შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ხასიათს, ამგვარი პროდუქტების დამახასიათებელ მგრძნობიარობას, თითოეული მხარის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განვითარების დონესა და ორმხრივი და მრავალმხრივი ფორუმების მიღწევებს. ამ მიზნის მისაღწევად, მხარეებს

შეუძლიათ კონსულტაციები გაიარონ ერთობლივი კომიტეტის შეხვედრების ფარგლებში.

#### თავი 4

### სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

#### მუხლი 4.1

#### *მიზნები*

ამ თავის მიზნებია:

- (a) სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ ვმო-ს შეთანხმების (შემდგომში „SPS შეთანხმება“) განხორციელების ხელშეწყობა;
- (b) მხარეებს შორის თანამშრომლობის განმტკიცება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების სფეროში ვაჭრობის ხელშეწყობისა და მათ შესაბამის ბაზრებზე წვდომის უზრუნველსაყოფად;
- (c) მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა და თითოეული მხარის მარეგულირებელი სისტემის უკეთ გაცნობა;
- (d) ორმხრივი ვაჭრობის დამაბრკოლებელი პრობლემების ეფექტური გადაჭრა ამ თავის რეგულირების სფეროს ფარგლებში.

#### მუხლი 4.2

#### *რეგულირების სფერო*

ეს თავი ეხება სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს, რომლებმაც, შესაძლოა, პირდაპირ ან ირიბად, ზეგავლენა მოახდენოს მხარეებს შორის ვაჭრობაზე.

#### მუხლი 4.3

#### *SPS შეთანხმების აღიარება*

თუ ამ თავში სხვაგვარად არაა განსაზღვრული, ხდება SPS შეთანხმების გამოყენება და, იგი ასახულია ამ შეთანხმებაში და მის ნაწილს წარმოადგენს, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით *mutatis mutandis*.

#### მუხლი 4.4

##### *საერთაშორისო სტანდარტები*

ამ თავის მიზნებისათვის, საერთაშორისო სტანდარტებში იგულისხმება კოდექს ალიმენტარიუსის კომისიის (CAC), ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციისა (OIE) და მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) ფარგლებში მოქმედი შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების სტანდარტები, სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები.

#### მუხლი 4.5

##### *შემოწმება, სერტიფიცირების სისტემა და სისტემის აუდიტი*

1. ექსპორტიორი მხარის შემოწმებისა და სერტიფიცირების სისტემის შეფასებისას, იმპორტის განმახორციელებელი მხარე იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს<sup>3</sup>
2. მხარეები თანხმდებიან, რომ გამოიყენებენ სისტემის აუდიტს, როგორც შეფასების უპირატეს მეთოდს. ადგილზე შემოწმების საჭიროება უნდა იყოს შესაბამისად დასაბუთებული.
3. შესაბამის შემთხვევაში, მაკორექტირებელი ქმედებები, ვადები და შემდგომი პროცედურები გარკვევით უნდა იყოს ასახული შეფასების ანგარიშში.
4. აუდიტის ხარჯებს ფარავს იმპორტის განმახორციელებელი მხარე.
5. იმპორტის განმახორციელებელი მხარე ექსპორტის განმახორციელებელ მხარეს ინფორმაციას აწვდის წერილობით აუდიტის ჩატარებიდან 60 დღის ვადაში. ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით ექსპორტის განმახორციელებელი მხარე საკუთარ შენიშვნებს აგზავნის 45 დღის ვადაში. ექსპორტის განმახორციელებელი მხარის შენიშვნები აისახება შეფასების ანგარიშში

---

<sup>3</sup> კერძოდ, საკვების იმპორტისა და ექსპორტის შემოწმებისა და სერტიფიცირების სისტემების შესახებ (CAC/GL 26-1997) კოდექს ალიმენტარიუსის კომიტეტის მიერ შემუშავებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს.

## მუხლი 4.6

### *სერტიფიკატები*

მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ SPS სერტიფიკატების რაოდენობის შეძლებისდაგვარად შემცირების საკითხებზე. ოფიციალური სერტიფიკატების საჭიროების შემთხვევაში, ისინი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ პრინციპებს. როდესაც მხარე შემოიღებს ან შეცვლის სერტიფიკატს, შემოთავაზებული ახალი ან შეცვლილი სერტიფიკატის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს ინგლისურად, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში. ახალი ან შეცვლილი სერტიფიკატისთვის მხარეები წარმოადგენენ ფაქტობრივ საფუძველსა და დასაბუთებას. ექსპორტის განმახორციელებელ მხარეს საკმარისი დრო ეძლევა თავისი საქმიანობის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

## მუხლი 4.7

### *თანამშრომლობა*

1. ერთმანეთის შესაბამისი სისტემების უკეთ გასაცნობად და შესაბამის ბაზრებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, მხარეები აღრმავებენ თანამშრომლობას. ამგვარი თანამშრომლობა გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, რაც მხარეებს მეცნიერული რჩევის მიღებისა და რისკების ანალიზის შესაძლებლობას აძლევს.
2. მხარეები უზრუნველყოფენ SPS სფეროში ყველა მარეგულირებელი ნორმატიული აქტის გამოქვეყნებას და ხელმისაწვდომობას ინტერნეტში. მოთხოვნის შემთხვევაში, მხარე უზრუნველყოფს იმპორტთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ინგლისურ ენაზე.
3. მხარეები ერთმანეთს ატყობინებენ უფლებამოსილი ორგანოებისა და საკონტაქტო პირების არსებითი სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილების, ასევე პასუხისმგებლობების განაწილებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.
4. მხარის მიერ ახალი SPS ზომების შემოღების შემთხვევაში, იმპორტის განმახორციელებელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო, მოთხოვნის

შემთხვევაში, და თუ ეს შესაძლებელია, ინგლისურ ენაზე, წარადგენს შესაბამის რისკების შეფასების ანგარიშს, რომელიც ასაბუთებს ზომის მიზანშეწონილობას.

#### მუხლი 4.8

##### *იმპორტირებული პროდუქციის შემოწმება*

1. ამ თავით გათვალისწინებული იმპორტთან დაკავშირებული მოთხოვნები და იმპორტირებული პროდუქტების მიმართ გამოყენებული შემოწმებები, ეფუძნება ამგვარ პროდუქტებთან ასოცირებულ რისკებს და გამოიყენება არადისკრიმინაციული ფორმით. იმპორტირებული პროდუქციის შემოწმება და სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება, შეძლებისდაგვარად დაჩქარებულად, იმგვარად, რომ ვაჭრობა საჭიროზე მეტად არ შეიზღუდოს.
2. იმპორტირებული პროდუქციის შემოწმების სიხშირეს, ან ამ სიხშირის შეცვლის შესახებ ინფორმაციას, უფლებამოსილი ორგანოები ერთმანეთს უცვლიან მოთხოვნის შემთხვევაში.
3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს ადეკვატური პროცედურების არსებობას, რომლებიც საქონლის პარტიაზე პასუხისმგებელ პირებს, რომელთა საქონელიც ნიმუშის აღებასა და ანალიზს ექვემდებარება, საშუალებას აძლევს ოფიციალური ანალიზისთვის ნიმუშის აღების ფარგლებში, სხვა სპეციალისტის დასკვნა მოითხოვონ.
4. იმპორტის კონტროლის სტრუქტურა საერთაშორისო სტანდატებს უნდა შეესაბამებოდეს<sup>4</sup>.
5. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ან გეგმიურ შემოწმებას დაქვემდებარებული პროდუქტების საზღვარზე დაკავება არ უნდა მოხდეს შემოწმების შედეგების მოლოდინში.
6. სავარაუდო რისკის მიზეზით საზღვარზე დაკავებული პროდუქტის გაფორმების შესახებ გადაწყვეტილება შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა იქნას მიღებული. მალფუჭებადი პროდუქტების გაფუჭების თავიდან ასაცილებლად ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული. ამ დებულების მიზნებისათვის, მალფუჭებად პროდუქტებად ითვლება პროდუქტები,

<sup>4</sup> კერძოდ, კოდექს ალიმენტარიუსის კომისიის საკვების იმპორტის საკონტროლო სისტემების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებს (CAC/GL 47-2003) და საკვები პროდუქტების იმპორტისა და ექსპორტის შემოწმებისა და სერტიფიცირების სისტემების შექმნის, მუშაობის, შეფასებისა და აკრედიტაციის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებს (CAC/GL 26-1997).

რომლებიც ბუნებრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე მალე ფუჭდება, განსაკუთრებით, არასათანადო შენახვის პირობებში.

7. სერიოზული დადასტურებული სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული დარღვევის გამო საბაჟო გამშვებ პუნქტში პროდუქტის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება ექსპორტის განმახორციელებელი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს, მაქსიმალურად მოკლე დროში. სერიოზული სანიტარული ან ფიტოსანიტარული დარღვევები გულისხმობს შემთხვევებს, რომელთა შესახებაც უფლებამოსილ ორგანოებს შორის შეტყობინების გაგზავნა საერთაშორისო სტანდარტებითაა გათვალისწინებული.<sup>5</sup>

8. საბაჟო გამშვებ პუნქტში პროდუქტების არმიღების შემთხვევაში, ექსპორტის განმახორციელებელ მხარეს, მოთხოვნისამებრ, წერილობით უნდა მიეწოდოს, არმიღების ფაქტობრივი საფუძველი და მეცნიერული დასაბუთება, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში

9. როდესაც ერთ-ერთი მხარე საბაჟო გამშვებ პუნქტში აკავებს მეორე მხარის ქვეყნიდან ექსპორტირებულ პროდუქტებს სანიტარულ ან ფიტოსანიტარულ ზომებთან სავარაუდო შეუსაბამობის გამო, დაკავების ფაქტობრივი დასაბუთება დაუყოვნებლივ უნდა ეუწყოს იმპორტის განმახორციელებელს ან მის წარმომადგენელს.

10. საბაჟო გამშვებ პუნქტში პროდუქტების არმიღების შემთხვევაში, თითოეული მხარე უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების არსებობას, რომლებიც იმპორტის განმახორციელებელს (ტვირთზე პასუხისმგებელ პირს) ან მის წარმომადგენელს საშუალებას მისცემს გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება.

#### მუხლი 4.9

#### *კონსულტაციები*

კონსულტაციები ჩატარდება იმ მხარის მოთხოვნით, რომელსაც მიაჩნია, რომ მეორე მხარის მიერ გატარებულმა ზომებმა დააბრკოლა ან სავარაუდოდ დააბრკოლებს ვაჭრობას. ამგვარი კონსულტაციები ტარდება მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში ორივე მხარისათვის მისაღები გამოსავალის პოვნის მიზნით. ერთერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ასეთი

---

<sup>5</sup> კერძოდ კოდექს ალიმენტარიუსის კომისიის (CAC), ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციისა (OIE) და მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) სახელმძღვანელო პრინციპებით, რომლებიც იმპორტირებული კვების პროდუქტების საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ არმიღების შესახებ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლას ეხება.

კონსულტაციები უნდა გაიმართოს ერთობლივი კომიტეტის ფარგლებში . მალფუჭებადი პროდუქტების შემთხვევაში, კონსულტაციები უფლებამოსილ ორგანოებს შორის ტარდება დაუყოვნებლივ. ამგვარი კონსულტაციების ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერი შეთანხმებული მეთოდით.

#### მუხლი 4.10

##### ***შეთანხმების გადასინჯვა***

მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები დაუყოვნებლივ თანხმდებიან მექანიზმზე, რომლის მიხედვითაც ერთანეთის მიმართ აწესებენ ევრო კავშირისთვის თითოეული მხარის მიერ მინიჭებულ სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ რეჟიმს.

#### მუხლი 4.11

##### ***საკონტაქტო პირები***

ამ თავის მიზნებისათვის მხარეები ცვლიან საკონტაქტო პირების სახელებსა და მისამართებს, რათა გამარტივდეს კომუნიაცია და ინფორმაციის გაცვლა.

#### თავი 5

##### **მომსახურებით ვაჭრობა**

#### მუხლი 5.1

##### ***რეგულირების სფერო და დაფარვის არეალი***

1. ეს თავი ეხება მხარეების მიერ გატარებულ ზომებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მომსახურებით ვაჭრობაზე და რომელთაც ატარებენ ცენტრალური, რეგიონალური ან ადგილობრივი მთავრობები ან ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანოები ცენტრალური, რეგიონალური ან ადგილობრივი მთავრობების ან ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. ეს ეხება მომსახურების ყველა სექტორს.

2. რაც შეეხება საჰაერო გადაზიდვის მომსახურებას, ეს თავი არ ეხება ზომებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებულ უფლებებზე ან ზომებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს

საჰაერო მიმოსვლის უფლებების განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებაზე, გარდა საჰაერო გადაზიდვის მომსახურების შესახებ GATS-ის დანართის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა. საჰაერო გადაზიდვის მომსახურების შესახებ GATS-ის დანართის მე-6 პუნქტში მოცემული განმარტებები ასახულია ამ თავში და წარმოადგენს მის ნაწილს.

3. მუხლები 5.4, 5.5 და 5.6 არ ეხება კანონებს, რეგულაციებს ან მოთხოვნებს, რომლებიც არეგულირებს სამთავრობო უწყებების მიერ მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო მიზნებისათვის და არა ბაზარზე გადაყიდვისთვის ან ბაზარზე გაყიდვის მიზნით მომსახურების მიწოდებისთვის.

## მუხლი 5.2

### *წინამდებარე შეთანხმებაში GATS-ის დებულებების ასახვა*

იქ, სადაც ამ თავის დებულებები მიუთითებს, რომ GATS-ის ესა თუ ის დებულება ასახულია ამ თავში და მის ნაწილს წარმოადგენს, GATS-ის დებულებაში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა შემდეგნაირად უნდა იქნას გაგებული:

- (a) „წევრი“ ნიშნავს მხარეს;
- (b) „ცხრილი“ ნიშნავს მუხლში 5.18 მითითებულ და VIII დანართში მოცემულ ცხრილს;
- (c) „სპეციფიკური ვალდებულება“ ნიშნავს მუხლში 5.18 მითითებულ გრაფიკში გათვალისწინებულ სპეციფიკურ ვალდებულებას.

## მუხლი 5.3

### *განმარტებები*

ამ თავის მიზნებისათვის:

- (a) GATS-ის I მუხლში მოცემული შემდეგი განმარტებები გადმოტანილია ამ თავში და მის ნაწილს წარმოადგენს:
  - (i) „მომსახურებით ვაჭრობა“;
  - (ii) „მომსახურება“; და



(iii) „სამთავრობო უფლებამოსილების შესრულებისას მიწოდებული მომსახურება“;

(b) „მომსახურების მიმწოდებელი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც აწვდის ან სურს მიაწოდოს მომსახურება;<sup>6</sup>

(c) „მეორე მხარის ფიზიკური პირი“ ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც ამ მეორე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად არის:

(i) ამ მეორე მხარის მოქალაქე, მცხოვრები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე;

(ii) ამ მეორე მხარის მუდმივი მცხოვრები, რომელიც ცხოვრობს ნებისმიერი მხარის ტერიტორიაზე, თუ ეს მეორე მხარე არსებითად ერთი და იმავე რეჟიმს ავრცელებს, როგორც თავის მუდმივ მცხოვრებლებზე ისე საკუთარ მოქალაქეებზე მომსახურებით ვაჭრობის ხელშემშლელ ზომებთან მიმართებაში. ფიზიკური პირების საშუალებით მომსახურების მიწოდების მიზნით (რეჟიმი 4) ეს განმარტება ეხება ამ მეორე მხარის მუდმივ მცხოვრებს, რომელიც ცხოვრობს ნებისმიერი მხარის ტერიტორიაზე ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

(d) „მეორე მხარის იურიდიული პირი“ ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელიც:

(i) არის ამ მეორე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ან სხვაგვარად ორგანიზებული და ახორციელებს არსებით ბიზნეს ოპერაციებს:

(aa) ნებისმიერი მხარის ტერიტორიაზე; ან

(bb) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არის ამ სხვა მხარის

---

<sup>6</sup> როდესაც მომსახურების მიწოდება არ ხდება ან არაა მოთხოვნა მიწოდებოდეს უშუალოდ იურიდიული პირის მიერ, არამედ მიწოდება სხვა ფორმის კომერციული წარმომადგენლობის, კერძოდ, ფილიალის ან წარმომადგენლოს მიერ, მიუხედავად ამისა, მომსახურების მიმწოდებელზე (ე.ი., იურიდიულ პირზე) ასეთი კომერციული პირის მეშვეობით უნდა გავრცელდეს ამ თავით მომსახურების მიმწოდებლებისთვის გათვალისწინებული რეჟიმი. ამგვარი რეჟიმი გავრცელდება იმ კომერციული წარმომადგენლობაზე, რომლის მეშვეობითაც ხდება ან მოთხოვნილია, მომსახურების მიწოდება და არაა სავალდებულო გავრცელდეს მომსახურების მიმწოდებლის რომელიმე სხვა ნაწილზე, რომელიც იმ ტერიტორიის მიღმა მდებარეობს, სადაც ხდება ან მოთხოვნილია მომსახურების მიწოდება.

ფიზიკური პირების ან იმ იურიდიული პირების საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ, რომლებიც (i)(aa) ქვეპუნქტის ყველა პირობას აკმაყოფილებენ;

ან

(ii) კომერციული წარმომადგენლობის საშუალებით მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, მასზე საკუთრების ან კონტროლის უფლებას ახორციელებენ:

(aa) ამ სხვა მხარის ფიზიკური პირები;

(bb) (d)(i) ქვეპუნქტში მითითებული ამ სხვა მხარის იურიდიული პირები;

(e) GATS-ის XXVIII მუხლში მოცემული შემდეგი განმარტებები გადმოდის ამ თავში და ხდება მისი ნაწილი:

(i) „ზომა“;

(ii) „მომსახურების მიწოდება“;

(iii) „წევრების მიერ განხორციელებული ზომები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მომსახურებით ვაჭრობაზე“;

(iv) „კომერციული წარმომადგენლობა“;

(v) „მომსახურების "სექტორი“;

(vi) „სხვა წევრი ქვეყნის მომსახურება“;

(vii) „მომსახურების მონოპოლისტი მიმწოდებელი“;

(viii) „მომსახურების მომხმარებელი“;

(ix) „პირი“;

(x) „იურიდიული პირი“;

(xi) „საკუთრებაში“, „კონტროლის ქვეშ“ და „აფილირებული“;

(xii) „პირდაპირი გადასახადები“.

მუხლი 5.4

XXVIII

## **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი**

1. GATS-ის VII მუხლის შესაბამისად გატარებული ზომებისთვის ზიანის მიყენების გარეშე და IX დანართით გათვალისწინებული MFN გამონაკლისების გარდა, თითოეულმა მხარემ, დაუყოვნებლივ და უპირობოდ, მომსახურების მიწოდებაზე გავლენის მქონე ყველა ზომასთან მიმართებაში, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მხარის მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებთან მიმართებაში, უნდა გაავრცელოს ისეთი რეჟიმი, რომელიც არანაკლებ ხელსაყრელი იქნება, ვიდრე ის რეჟიმი, რომელსაც იგი ავრცელებს იმ ნებისმიერი პირის მსგავს მომსახურებაზე ან მომსახურების მიწოდებაზე, რომელიც შეთანხმების მხარეს არ წარმოადგენს.
2. პირველ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ერთ-ერთი მხარის მიერ დადებული ან მომავალში დასადები სხვა შეთანხმებების შესაბამისად დაწესებულ რეჟიმზე, რომლის შესახებაც მოხდა ნოტიფიცირება GATS-ის V მუხლისა და V bis მუხლის შესაბამისად.
3. მხარე, რომელიც დებს შეთანხმებას, რომლის შესახებაც ნოტიფიცირება GATS-ის V მუხლით ან V bis მუხლით არის გათვალისწინებული, მეორე მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, იგი ადეკვატურ შესაძლებლობას აძლევს ამ მხარეს, მოლაპარაკებები აწარმოოს აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათების თაობაზე.
4. მხარეების უფლებები და ვალდებულებები იმ უპირატესობებთან დაკავშირებით, რომლებიც მეზობელ ქვეყნებს აქვთ მინიჭებული, რეგულირდება GATS-ის II მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რომელიც ასახულია ამ თავში და მის ნაწილს წარმოადგენს.

### **მუხლი 5.5**

#### **ბაზარზე წვდომა**

GATS-ის XVI მუხლი გამოიყენება და ასახულია ამ თავში და წარმოადგენს მის ნაწილს.

### **მუხლი 5.6**

#### **ეროვნული რეჟიმი**

GATS-ის XVII მუხლი გამოიყენება და ასახულია ამ თავში და მისი ნაწილს წარმოადგენს.

## მუხლი 5.7

### **დამატებითი ვალდებულებები**

GATS-ის XVIII მუხლი გამოიყენება და ასახულია ამ თავში და წარმოადგენს მის ნაწილს წარმოადგენს.

## მუხლი 5.8

### **შიდა რეგულირება**

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ზოგადი გამოყენების ყველა ზომა, რომელიც მომსახურებით ვაჭრობაზე ახდენს გავლენას, განხორციელდეს გონივრულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად.
2. თითოეული მხარე ინარჩუნებს ან მაქსიმალურად მოკლე ვადაში ქმნის სასამართლო ორგანოებს, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციულ სასამართლოებს ან პროცედურებს, რომლებიც მეორე მხარის დაზარალებული მომსახურების მიმწოდებლის მოთხოვნით, უზრუნველყოფს მომსახურებით ვაჭრობის დამაზიანებელი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების უსწრაფესად განხილვას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ანაზღაურებას. თუ ამგვარი პროცედურები ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი სააგენტოსგან დამოუკიდებელი არ არის, მხარე უზრუნველყოფს, რომ პროცედურები რეალურად ობიექტურ და მიუკერძოებელ განხილვას უზრუნველყოფდეს.
3. თუ მომსახურების მიწოდებისთვის მხარე ნებართვას ითხოვს, ამ მხარის უფლებამოსილი ორგანოები, მას შემდეგ, რაც განცხადების წარდგენა ამ მხარის ადგილობრივი კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ნორმებით დასრულებულად ჩაითვლება, განმცხადებელს გონივრულ ვადაში აუწყებენ განცხადებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას. განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ მხარის უფლებამოსილი ორგანოები მომთხოვნ პირს დაუყოვნებლივ აწვდიან ინფორმაციას განცხადების სტატუსის შესახებ.
4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და ლიცენზირების მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებული

ზომები, მომსახურების ყველა სექტორში, ეფუძნებოდეს ობიექტურ და გამჭვირვალე კრიტერიუმებს, როგორცაა კომპეტენტურობა და მომსახურების მიწოდების უნარი.

5. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და ლიცენზირების მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებული ზომების შედეგად მომსახურებით ვაჭრობაში ზედმეტი ბარიერების შექმნის გამოსარიცხად, ერთობლივი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, წინამდებარე შეთანხმებაში ასახოს ვმო-ში GATS-ის VI მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შემუშავებული ნებისმიერი დისციპლინა. მხარეებს შეუძლიათ, ერთობლივად ან ორმხრივად, მიიღონ დამატებითი დისციპლინების შემუშავების გადაწყვეტილება.

6. (a) სექტორებში, რომლებშიც მხარეს გააჩნია სპეციფიკური ვალდებულებები, ამ სექტორებისთვის მე-5 პუნქტის შესაბამისად დადგენილი ვმო-ის დისციპლინების, ან მხარეებს შორის შეთანხმების შემთხვევაში, ერთობლივად ან ორმხრივად შემუშავებული დისციპლინების წინამდებარე შეთანხმებაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარე არ იყენებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პროცედურებს, ტექნიკურ სტანდარტებსა და ლიცენზირების მოთხოვნებსა და პროცედურებს, რომლებიც აუქმებს ან ზიანს აყენებს ამგვარ სპეციფიკურ ვალდებულებებს იმგვარად, რომ:

(i) ისინი უფრო დამამძიმებელი ხდება, ვიდრე მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფელი, ხოლო

(ii) ლიცენზირების პროცედურები თავისთავად წარმოადგენს მომსახურების მიწოდების შეზღუდვას.

(b) იმის დასადგენად, ასრულებს თუ არა მხარე (a) ქვეპუნქტით გასაზღვრულ ვალდებულებას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც ეს მხარე იყენებს. ამ თავის მიზნებისათვის, „შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები“ საერთაშორისო ორგანოებს, რომელთა წევრობაც შეუძლიათ ყველა მხარის შესაბამის ორგანოებს.

7. მეორე მხარის სპეციალისტების კომპეტენციის დასადგენად თითოეული მხარე უზრუნველყოფს ადეკვატური პროცედურების არსებობას.

## **აღიარება**

1. მომსახურების მიმწოდებლების ავტორიზაციის, ლიცენზირების ან სერტიფიცირების შესაბამისი სტანდარტების ან კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით, თითოეული მხარე სათანადოდ განიხილავს მეორე მხარის ნებისმიერ მოთხოვნას, რომელიც ეხება მეორე მხარის ქვეყანაში მიღებული ცოდნის ან გამოცდილების აღიარებას, შესრულებულ მოთხოვნებს, ან გაცემულ ლიცენზიებსა და სერტიფიკატებს. აღიარება შეიძლება ეფუძნებოდეს ამ სხვა მხარესთან ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, ან სხვა შემთხვევაში მიენიჭოს ავტომატურად.

2. როდესაც მხარე, ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, აღიარებს არა-მხარის ტერიტორიაზე მიღებულ ცოდნას ან გამოცდილებას, შესრულებულ მოთხოვნებს ან გაცემულ ლიცენზიებსა თუ სერტიფიკატებს, ეს მხარე მეორე მხარეს აძლევს ადეკვატურ შესაძლებლობას, მოპალარაკებები აწარმოოს ამგვარ არსებულ ან სამომავლო ხელშეკრულებასთან ან შეთანხმებასთან მისაერთებლად, ან მოლაპარაკება აწარმოოს მასთან მსგავსი ხელშეკრულების ან შეთანხმების თაობაზე. აღიარების ავტომატურად მინიჭების შემთხვევაში, მხარე მეორე მხარეს აძლევს ადეკვატურ შესაძლებლობას, აჩვენოს, რომ ამ სხვა მხარის ტერიტორიაზე მიღებული ცოდნა ან გამოცდილება, შესრულებული მოთხოვნები ან გაცემული ლიცენზიები ან სერტიფიკატები, ასევე უნდა იყოს აღიარებული.

3. ნებისმიერი ასეთი ხელშეკრულება ან შეთანხმება, ან ავტომატური აღიარება, უნდა შეესაბამებოდეს ვმო-ის შეთანხმების შესაბამის დებულებებს, კერძოდ, GATS-ის VII მუხლის მე-3 პუნქტს.

## **მუხლი 5.10**

### **ფიზიკური პირების გადაადგილება**

1. ეს მუხლი ეხება ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენს მხარისთვის მომსახურების მიმწოდებელ ფიზიკურ პირებზე და მხარის ფიზიკურ პირებზე, რომლებიც მომსახურების მისაწოდებლად მხარის მომსახურების მიმწოდებლის მიერ არიან დასაქმებულნი.

2. ეს თავი არ ეხება ზომებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მხარის დასაქმების ბაზარზე დაშვების მსურველ ფიზიკურ პირებზე, არც მუდმივ მოქალაქეობასთან, საცხოვრებელთან ან დასაქმებასთან დაკავშირებულ ზომებს.

3. ფიზიკურ პირებს, რომლებზედაც ვრცელდება სპეციფიკური ვალდებულება, შეუძლიათ მომსახურება მიაწოდონ ამ ვალდებულების პირობების შესაბამისად.

4. ეს თავი არ ზღუდავს მხარეს, გამოიყენოს ზომები, რომლებიც არეგულირებს მეორე მხარის ფიზიკური პირების შესვლას ან დროებით დარჩნას მის ტერიტორიაზე, მათ შორის, ზომები, რომლებიც საჭიროა ფიზიკური პირების ხელშეუხებლობის დასაცავად და საკუთარ საზღვარზე მოწესრიგებული გადაადგილების უზრუნველსაყოფად, იმ პირობით, რომ ამგვარი ზომები არ გააბათილებს ან შეზრუდავს სპეციფიკური ვალდებულების ფარგლებში რომელიმე მხარისთვის გათვალისწინებულ შეღავათებს.<sup>7</sup>

#### მუხლი 5.11

##### *გამჭვირვალობა*

GATS-ის III მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები და III *bis* მუხლი ასახულია ამ თავში და წარმოადგენენ მის ნაწილს.

#### მუხლი 5.12

##### *მონოპოლიები და მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებლები*

GATS-ის VIII მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები ასახულია ამ თავში და წარმოადგენენ მის ნაწილს.

#### მუხლი 5.13

##### *სამეწარმეო პრაქტიკა*

GATS-ის IX მუხლი ასახულია ამ თავში და წარმოადგენს მის ნაწილს.

#### მუხლი 5.14

##### *გადახდები და გადარიცხვები*

---

<sup>7</sup> მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფიზიკური პირებისათვის მოითხოვება ვიზა, არ ჩაითვლება სპეციფიკური ვალდებულების პირობებით გათვალისწინებული შეღავათების გაბათილებად ან შეზღუდვად.

1. მუხლით 5.15 გათვალისწინებული გარემოებების გარდა, მეორე მხარესთან მიმდინარე ტრანზაქციების მიმართ მხარე არ იყენებს შეზღუდვებს საერთაშორისო გადარიცხვებსა და გადახდებზე.

2. ეს თავი არ ზღუდავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (შემდგომში „IMF“) შეთანხმები მხარეებისთვის განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის, იმ შეთანხმების მუხლების შესაბამისად სავალუტო კურსთან დაკავშირებული ღონისძიებების გამოყენებას, იმ პირობით, რომ მხარე არ დააწესებს შეზღუდვებს კაპიტალთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე, რაც არ შეესაბამება ამგვარ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მისთვის განსაზღვრულ სპეციფიკურ ვალდებულებებს, გარდა მუხლი 5.15 გათვალისწინებული შემთხვევისა ან IMF-ის მოთხოვნის შემთხვევაში.

#### მუხლი 5.15

#### *შეზღუდვები საგადამხდელო ბალანსის დასაცავად*

1. მხარეები ეცდებიან, თავიდან აირიდონ შეზღუდვების დაწესება საგადამხდელო ბალანსის დასაცავად.
2. GATS-ის XII მუხლის 1-3 პუნქტები ასახულია ამ თავში და წარმოადგენენ მის ნაწილს.
3. მხარე, რომელიც აწესებს ან ძალაში ტოვებს ამგვარ შეზღუდვებს, დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის შესახებ ერთობლივ კომიტეტს.

#### მუხლი 5.16

#### *სუბსიდიები*

1. მხარეს, რომელსაც მიაჩნია, რომ მეორე მხარის სუბსიდია ზიანს აყენებს მას, შეუძლია მოითხოვოს *სპეციალური* კონსულტაციები ამ მხარესთან ამგვარ საკითხებზე. მხარე, რომელსაც მოსთხოვეს კონსულტაციები, უნდა დათანხმდეს კონსულტაციებზე.<sup>8</sup>
2. მხარეები განიხილავენ GATS-ის XV მუხლის შესაბამისად შეთანხმებულ ნებისმიერ დისციპლინას, მათი ამ თავში ასახვის მიზნით.

---

<sup>8</sup> პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსულტაციები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მე-12 თავით ან დავების მოგვარების შესახებ ვმო-ს შეთანხმებით მხარეებისთვის განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.



## მუხლი 5.17

### *გამონაკლისები*

GATS-ის XIV მუხლისა და XIV bis მუხლის პირველი პუნქტი ასახულია ამ თავში და წარმოადგენენ მის ნაწილს.

## მუხლი 5.18

### *სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილები*

1. თითოეული მხარე ადგენს მის მიერ მუხლებით 5.5, 5.6, 5.7 ნაკისრი სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილებს. იმისდა მიხედვით, თუ რომელ სექტორშია ნაკისრი ეს ვალდებულებები, თითოეული ცხრილი განსაზღვრავს:

- (a) ბაზარზე დაშვების ვადებს, შეზღუდვებსა და პირობებს;
- (b) ეროვნული რეჟიმის პირობებსა და კვალიფიკაციას;
- (c) მუხლით 5.7 განსაზღვრულ დამატებით ვალდებულებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;
- (d) საჭიროების შემთხვევაში, ამგვარი ვალდებულებების განხორციელების ვადებსა და ამგვარი ვალდებულებების ძალაში შესვლის თარიღს.

2. ზომები, რომლებიც არ შეესაბამება არც მუხლს 5.5 და არც მუხლს 5.6, უნდა განიხილებოდეს GATS-ის XX მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

3. მხარეების სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილები მოცემულია VIII დანართში.

## მუხლი 5.19

### *ცხრილების შეცვლა*

მხარეები, ერთ-ერთი მხარის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, აწარმოებენ კონსულტაციებს, სადაც განიხილავენ მომთხოვნი მხარის სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილში ნებისმიერი ცვლილების შეტანას

ან რომელიმე სპეციფიკური ვალდებულების გაუქმებას. კონსულტაციები ტარდება მომთხოვნი მხარის მოთხოვნიდან სამი თვის ვადაში. კონსულტაციებისას, მხარეთა მიზანია, უზრუნველყონ, რომ შენარჩუნებული იყოს ორმხრივად ხელსაყრელი ვალდებულებების საერთო დონე, რომელიც არანაკლებ ხელსაყრელია ვაჭრობისთვის, ვიდრე ის დონე, რომელიც სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილში ამგვარი კონსულტაციების დაწყებამდე იყო გათვალისწინებული. გრაფიკების შეცვლისას გამოიყენება მუხლებით 11.1 და 13.2 განსაზღვრული პროცედურები.

## მუხლი 5.20

### **გადასინჯვა**

მომსახურებით ვაჭრობის ეტაპობრივი ლიბერალიზაციის მიზნით, მხარები პერიოდულად გადახედავენ სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილებს და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან გამონაკლისების ჩამონათვალს. პირველად, ამგვარი გადასინჯვა უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 3 წლისა.

## მუხლი 5.21

### **დანართები**

ქვემოთ მოცემული დანართები ამ თავის განუყოფელი ნაწილია.

- (a) დანართი VIII (სპეციფიკური ვალდებულებების გრაფიკი)
- (b) დანართი IX (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე მინიჭებული გამონაკლისების ჩამონათვალი)
- (c) დანართი X (ფინანსური მომსახურება)
- (d) დანართი XI (სატელეკომუნიკაციო მომსახურება)
- (e) დანართი XII (საზღვაო ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება)
- (f) დანართი XIII (ენერგეტიკის სფეროში მომსახურება)

## თავი 6

## დაფუძნება

### მუხლი 6.1

#### *რეგულირების სფერო და დაფარვის არეალი*

1. ეს თავი ეხება ყველა სექტორში კომერციულ წარმომადგენლობებს, გარდა ამ ხელშეკრულების მუხლი 5.1-ით განსაზღვრული მომსახურების სექტორებისა.<sup>9</sup>
2. ეს თავი გავლენას არ ახდენს ინვესტიციებთან ან დაბეგვრასთან დაკავშირებული იმ სხვა საერთაშორისო შეთანხმებების განმარტებებსა თუ მოქმედებაზე, რომლის მხარეც საქართველო და EFTA-ს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოა.

### მუხლი 6.2

#### *განმარტებები*

ამ თავის მიზნებისათვის:

- (a) „იურიდიული დაწესებულება“ ნიშნავს კომერციული ან სხვა მიზნით შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით შექმნილ ან სხვაგვარად ორგანიზებულ, კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ნებისმიერ იურიდიულ პირს, ნებისმიერი კორპორაციის, ამხანაგობის, ერთობლივი საწარმოს, ინდივიდუალური საწარმოს, ასოციაციების ჩათვლით;
- (b) „მხარის იურიდიული პირი“ ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელიც დაარსებული ან სხვაგვარად ორგანიზებულია მხარის კანონმდებლობის მიხედვით და ამ მხარის ტერიტორიაზე არსებით სამეწარმეო საქმიანობას ეწევა;
- (c) „ფიზიკური პირი“ ნიშნავს პირს, რომელიც არის მხარის მოქალაქე ან მუდმივი მცხოვრები, მხარის შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით;

---

<sup>9</sup> მიიჩნევა რომ, მე-5 თავის რეგულირების სფეროდან საგანგებოდ გამორიცხული მომსახურებები ამ თავის რეგულირების სფეროში არ შედის.

(d) „კომერციული წარმომადგენლობა“ ნიშნავს ნებისმიერი სახის კომერციულ საწარმოს, რომელიც იქმნება:

(i) იურიდიული დაწესებულების დაარსების, შესყიდვის ან შენარჩუნების გზით; ან

(ii) ფილიალის ან წარმომადგენლობის დაარსების ან შენარჩუნების გზით,

მეორე მხარის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად.

### მუხლი 6.3

#### *ეროვნული რეჟიმი*

მუხლი 6.4 და XIV დანართით განსაზღვრული დათქმების შესაბამისად, თითოეული მხარე მეორე მხარის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ასევე ამგვარი პირების კომერციულ წარმომადგენლობებს, უწესებს რეჟიმს, რომელიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე ის რეჟიმი, რომელსაც მსგავს სიტუაციებში იგი საკუთარ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და ამგვარი პირების კომერციულ წარმომადგენლობებს უწესებს.

### მუხლი 6.4

#### *დათქმები*

1. 6.3 მუხლი არ ეხება:

(a) ნებისმიერ დათქმას, რომელიც მხარის მიერ გათვალისწინებულია XIV დანართის ჩამონათვალში;

(b) (a) ქვეპუნქტში მითითებულ დათქმაში შესულ ცვლილებას, იმ პირობით, რომ ცვლილება არ ამცირებს 6.3 მუხლთან აღნიშნული დათქმის შესაბამისობას;

(c) მხარის მიერ მიღებულ ნებისმიერ ახალ დათქმას, რომელიც შესულია დანართში XIV და გავლენას არ ახდენს წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში ამ მხარისთვის გათვალისწინებული ვალდებულებების საერთო დონეზე;

იმ პირობით, რომ ამგვარი დათქმები წინააღმდეგობაშია მუხლთან 6.3.

2. მუხლი 6.12 გათვალისწინებული გადასინჯვების ფარგლებში, მხარეები, სულ მცირე, სამ წელიწადში ერთხელ მაინც, გადახედავენ XIV დანართით განსაზღვრულ დათქმებს მათი შემცირების ან გაუქმების მიზნით.

3. მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ან დამოუკიდებლად, მთლიანად ან ნაწილობრივ, გააუქმოს XIV დანართით განსაზღვრული საკუთარი დათქმები, რის შესახებაც სხვა მხარეებს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.

4. მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია ახალი დათქმის დამატება XIV დანართში ამ მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის შესაბამისად, რის შესახებაც წერილობით ატყობინებს სხვა მხარეებს. ამგვარი შეტყობინების მიღებისას, მეორე მხარემ შეიძლება დათქმასთან დაკავშირებით კონსულტაციის ჩატარება მოითხოვოს. კონსულტაციის გამართვის მოთხოვნის მიღების შემდეგ, მხარე, რომელიც ამატებს ახალ დათქმას, კონსულტაციებს იწყებს კონსულტაციის მომთხოვნ მხარესთან.

## მუხლი 6.5

### *ძირითადი პერსონალი*

1. თითოეული მხარე, საკუთარი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, მეორე მხარის ფიზიკურ პირებსა და მეორე მხარის ფიზიკური ან იურიდიული დაწესებულებების მიერ დაქირავებულ ძირითად პერსონალს აძლევს საკუთარ ტერიტორიაზე დროებით შესვლისა და დარჩენის უფლებას, რათა მათ განახორციელონ კომერციულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საქმიანობა, მათ შორის, რეკომენდაციების გაცემა ან ძირითადი ტექნიკური მომსახურების გაწევა.

2. თითოეული მხარე, საკუთარი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, ნებას რთავს მეორე მხარის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს და მათ კომერციულ წარმომადგენლობას, ამ წარმომადგენლობის საქმიანობასთან დაკავშირებით აიყვანონ ნებისმიერი ძირითადი პერსონალი ფიზიკური ან იურიდიული დაწესებულების სურვილისამებრ, მიუხედავად ეროვნებისა ან მოქალაქეობისა, იმ პირობით, რომ ასეთ ძირითად პერსონალს მიღებული აქვს ნებართვა შევიდეს, დარჩეს და იმუშაოს შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე და რომ მისი დასაქმება შეესაბამება ამგვარი ძირითადი პერსონალისთვის გაცემული ნებართვის პირობებსა და ვადებს.

3. მხარეები, საკუთარი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, საკუთარ ტერიტორიაზე დროებითი შესვლისა და გაჩერების უფლებას აძლევენ და საჭირო დოკუმენტებით უზრუნველყოფენ იმ ფიზიკური პირის მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებს, რომელსაც მიეცა ქვეყანაში დროებითი შესვლის, ყოფნისა და მუშაობის უფლება პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად. მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებს უფლება აქვთ, ქვეყანაში დარჩნენ იმ ვადით, რა ვადითაც აღნიშნული პირი რჩება ამ ქვეყანაში.

## მუხლი 6.6

### *რეგულირების უფლება*

1. ამ თავის დებულებების გათვალისწინებით, მხარეს შეუძლია არადისკრიმინაციული ფორმით მიიღოს, შეინარჩუნოს ან განახორციელოს ნებისმიერი ზომა, საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ზომები ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად, ან სათანადო ზომები კეთილგონივრული მიზნებისთვის.

2. მხარემ არ უნდა თქვას უარი ან სხვაგვარად აარიდოს თავი, ან არ უნდა შესთავაზოს სხვას უარის თქმა ან გადახვევა ასეთი ზომებისგან, როგორცაა მეორე მხარის ან მესამე მხარის კომერციული წარმომადგებლობების საკუთარ ტერიტორიაზე დაფუძნების, შესყიდვის, გაფართოების ან შენარჩუნების წახალისება.

## მუხლი 6.7

### *გამჭვირვალობა*

კანონები, რეგულაციები, სასამართლო გადაწყვეტილებები და საერთო გამოყენების ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომლებიც ძალაში შევიდა რომელიმე მხარის ქვეყანაში, აგრეთვე მხარეებს შორის დადებული მოქმედი ნებისმიერი შეთანხმება, რომლებიც გავლენას ახდენს ამ თავით გათვალისწინებულ საკითხებზე, დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს ან სხვაგვარად გასაჯაროვდეს ისეთი ფორმით, რომ მხარეებმა და მათმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა შეძლონ მათი გაცნობა. ეს შეთანხმება არ აიძულებს მხარეს გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას ან რომლის გამჟღავნებაც ხელს შეუშლის კანონის აღსრულებას ან სხვაგვარად წინააღმდეგობაში მოვა საზოგადოებრივ ინტერესებთან, ან რომელიც ზიანს

მიაყენებს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული დაწესებულების ლეგიტიმურ კომერციულ ინტერესებს.

#### მუხლი 6.8

##### **გადახდები და გადარიცხვები**

1. გარდა 6.9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხარე არ იყენებს შეზღუდვებს მიმდინარე გადახდებისა და კაპიტალის მოძრაობის მიმართ, რომელიც უკავშირდება კომერციული წარმომადგენლობის ფარგლებში სექტორებში საქმიანობას გარდა მომსახურების სექტორისა.
2. ეს თავი არ ახდენს გავლენას საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) შეთანხმების მუხლებით მხარეებისთვის განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებზე, მათ შორის, IMF შეთანხმების მუხლების შესაბამისად სავალუტო კურსთან დაკავშირებული ღონისძიებების გამოყენებაზე, იმ პირობით, რომ მხარე არ დააწესებს ისეთ შეზღუდვებს კაპიტალთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე, რომელიც ეწინააღმდეგება ამ თავით მისთვის განსაზღვრულ ვალდებულებებს.

#### მუხლი 6.9

##### **შეზღუდვები საგადამხდელო ბალანსის დასაცავად**

1. მხარეები ეცდებიან, არ დააწესონ შეზღუდვები საგადამხდელო ბალანსის დასაცავად.
2. GATS-ის XII მუხლის 1-3 პუნქტები გამოიყენება და ასახულია ამ თავში და წარმოადგენენ მის ნაწილს *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით (mutatis mutandis)*.
3. მხარე, რომელიც აწესებს ან ინარჩუნებს ამგვარ შეზღუდვებს, დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის შესახებ ერთობლივ კომიტეტს.

#### მუხლი 6.10

##### **ზოგადი გამონაკლისები**

GATS-ის XIV მუხლი გამოიყენება და ასახულია ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს *შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით (mutatis mutandis)*.

## მუხლი 6.11

### **უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამონაკლისები**

GATS-ის XIV bis მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება და ასახულია ამ შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით (*mutatis mutandis*).

## მუხლი 6.12

### **გადასინჯვა**

ეს თავი ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვებს ერთობლივი კომიტეტის ფარგლებში, მხარეთა ვალდებულებების შემდგომი გაფართოვების კუთხით.

## თავი 7

### **ინტელექტუალური საკუთრების დაცვა**

## მუხლი 7

### **ინტელექტუალური საკუთრების დაცვა**

1. მხარეები, ამ თავით და XV დანართი და მათში გათვალისწინებული საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად, ანიჭებენ და უზრუნველყოფენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადეკვატურ, ეფექტურ და არადისკრიმინაციულ დაცვას და ასევე განსაზღვრავენ აღსრულების მექანიზმებს ამ უფლებების დარღვევის, მათშორის კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ.

2. მხარეები ერთმანეთის მოქალაქეებს ანიჭებენ საკუთარი მოქალაქეებისათვის მინიჭებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს. ამ ვალდებულებიდან ნებისმიერი გამონაკლისი უნდა შეესაბამებოდეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ ვმო-ს შეთანხმების (შემდგომში „TRIPS შეთანხმება“) მუხლის 3 და 5 არსებით დებულებებს.



3. მხარეები ერთმანეთის მოქალაქეებს ანიჭებენ არა წევრო მოქალაქეებისათვის მინიჭებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს. ამ ვალდებულებიდან ნებისმიერი გამონაკლისი უნდა შეესაბამებოდეს TRIPS-ის შეთანხმების არსებით დებულებებს, კერძოდ მუხლებს 4 და 5.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ რომელიმე მხარის მიერ ერთობლივი კომიტეტისათვის თხოვნით მიმართვის შემთხვევაში, გადახედავენ ამ თავითა და XV დანართით გათვალისწინებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის დებულებებს, რათა სრულყოფილ დაცვის ხარისხი და თავიდან აიცილონ ან გამოასწორონ ვაჭრობაში არსებული დისბალანსი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის არსებული დონის შედეგადაა გამოწვეული.

## თავი 8

### სახელმწიფო შესყიდვები

#### მუხლი 8.1

##### *რეგულირების სფერო და დაფარვის არეალი*

1. ეს თავი ეხება მხარის მიერ მიღებულ ნებისმიერ ზომას, რომელიც შეთანხმებით გათვალისწინებულ შესყიდვებთანაა დაკავშირებული. ამ თავის მიზნებისათვის „შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვები“ მოიცავს შემდეგ სახელმწიფო შესყიდვებს:

- (a) საქონელს, მომსახურებას ან მათ ნებისმიერ კომბინაციას:
  - (i) როგორც ეს განსაზღვრულია თითოეული მხარის მიერ XVI დანართზე დართულ დამატებებში; და
  - (ii) რომლის შესყიდვაც არ ხდება კომერციული გაყიდვის ან გადაყიდვის მიზნით, ან წარმოებაში გამოსაყენებლად ან საქონლის ან მომსახურების უზრუნველსაყოფად კომერციული გაყიდვის ან გადაყიდვებისათვის;
- (b) ნებისმიერი სახელშეკრულებო საშუალებებით, მათ შორის შესყიდვით, იჯარით, ქირით ან განვადებით, ყიდვის შესაძლებლობით ან მის გარეშე;
- (c) რომლის ღირებულებაც, XVI დანართის მე-9 დამატებით განსაზღვრული წესების შესაბამისად, ტოლია ან მეტია XVI დანართის 1- 3 დამატებებით განსაზღვრულ შესაბამისი ზღვრისა, რომელიც მოქმედებს 8.10 მუხლის თანახმად ტენდერის გამოცხადების შესახებ შესაბამისი შეტყობინების გამოქვეყნების დროს;
- (d) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ; და
- (e) რომელიც სხვაგვარად არ არის ამოღებული ამ თავის მოქმედების სფეროდან მე-2 პუნქტის ან XVI დანართის მოქმედების სფეროდან.

2. ეს თავი არ ვრცელდება:

- (a) მიწის, არსებული შენობების ან სხვა უძრავი ქონების ან მათზე უფლებების შეძენაზე ან დაქირავებაზე;
- (b) არასახელშეკრულებო შეთანხმებებზე ან დახმარების ნებისმიერ ფორმაზე, რომელსაც მხარე ახორციელებს, მათ შორის, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებზე, გრანტებზე, სესხებზე, კაპიტალის ინექციაზე, გარანტიებსა და საგადასახადო სტიმულებზე;
- (c) ფინანსური სააგენტოსა ან დეპოზიტარის შესყიდვებზე, რეგულირებადი ფინანსური დაწესებულებების ლიკვიდაციასთან და მართვასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, ან ისეთი მომსახურების შესყიდვაზე ან შეძენაზე, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ვალის გაყიდვასთან, განაწილებასთან და გადახდასთან, მათ შორის, სესხებთან და სახელმწიფო ობლიგაციებთან, ბანკნოტებთან და სხვა ფასიან ქაღალდებთან;
- (d) საჯარო სამსახურში დასაქმებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე;
- (e) შესყიდვებზე, რომლებიც განხორციელდა:
  - (i) საერთაშორისო დახმარების, მათ შორის, განვითარების მიზნით დახმარების გაწვევის კონკრეტული განზრახვით;
  - (ii) ჯარების განთავსებასთან ან ხელმომწერი ქვეყნების მიერ პროექტის ერთობლივ განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმების სპეციალური პროცედურის ან პირობის შესაბამისად;
  - (iii) საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალური პროცედურის ან პირობის შესაბამისად, ან საერთაშორისო გრანტებით, სესხებით დაფინანსების საშუალებით ან სხვაგვარი დახმარებით, როდესაც შესაბამისი პროცედურა ან პირობა შეუსაბამობაში მოდის ამ თავთან.

## მუხლი 8.2

### *განმარტებები*

ამ თავის მიზნებისთვის:

- (a) „კომერციული საქონელი ან მომსახურება“ ნიშნავს საქონელს ან მომსახურებას, რომელიც, როგორც წესი, იყიდება ან შეთავაზებულია გასაყიდად თავისუფალ ბაზარზე და რომელსაც, ჩვეულებრივ, ყიდულობენ მყიდველები არასახელმწიფო მიზნებისთვის;
- (b) „სამშენებლო მომსახურება“ ნიშნავს მომსახურებას, რომლის მიზანია ნებისმიერი საშუალებით სამოქალაქო ან სამშენებლო სამუშაოების განხორციელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროდუქტების პირობითი ცენტრალური კლასიფიკაციის CPC 51 დანაყოფისა და კლასიფიკატორის შესაბამისი დანაყოფების CPV ჯგუფების, კლასებისა და კატეგორიების საფუძველზე;
- (c) „დღე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს;
- (d) „ელექტრონული აუქციონი“ გულისხმობს იტერაქციულ პროცესს, რომელიც იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, რათა მიმწოდებლებმა წარმოადგინონ ახალი ფასები ან შეფასების ახალი არასაფასო კრიტერიუმებითვლადი ელემენტებისთვის, ან ორივე, რაც სატენდერო წინადადებების რანჟირებას ან ხელახალ რანჟირებას იწვევს.
- (e) „წერილობით ან წერილობითი ფორმით“ ნიშნავს ნებისმიერ, სიტყვებით ან რიცხვებით გამოხატულ ტექსტს, რომლის წაკითხვა, რეპროდუცირება და შემდგომში გაგზავნა შესაძლებელია, მათ შორის ელექტრონულად გაგზავნისა და ინფორმაციის შენახვის ჩათვლით;
- (f) „ლიმიტირებული ტენდერი“ ნიშნავს შესყიდვის მეთოდს, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია უკავშირდება მის მიერ არჩეულ მიმწოდებელს ან მიმწოდებლებს;
- (g) „ზომა“ ნიშნავს ნებისმიერ კანონს, რეგულაციას, პროცედურას, ადმინისტრაციულ მითითებას ან პრაქტიკას, ან შემსყიდველი ორგანიზაციის ნებისმიერ ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმებით რეგულირებულ სახელმწიფო შესყიდვებთან;
- (h) „მრავალჯერადი გამოყენების სია“ ნიშნავს იმ მიმწოდებლების სიას, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციის აზრით აკმაყოფილებენ ამ სიაში შეტანისთვის გათვალისწინებულ პირობებს და რომლის გამოყენებასაც შემსყიდველი ორგანიზაცია ერთზე მეტჯერ აპირებს;

- (i) „შეტყობინება განზრახული შესყიდვისათვის“ ნიშნავს შეტყობინებას, რომლის გამოქვეყნებითაც შემსყიდველი ორგანიზაცია იწვევს დაინტერესებულ მიმწოდებლებს, რათა მათ წარადგინონ განაცხადი ტენდერში მონაწილეობაზე ან სატენდერო წინადადება ან ორივე;
- (j) „შეტყობინება დაგეგმილი შესყიდვის“ ნიშნავს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ შეტყობინებას შესყიდვებთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებზე;
- (k) „ოფსეტი“ ნიშნავს ნებისმიერ პირობას ან ვალდებულებას, რომელიც სტიმულს აძლევს ადგილობრივ განვითარებას ან აუმჯობესებს მხარის საგადამხდელო ბალანსის ანგარიშებს, კერძოდ, ხელს უწყობს ადგილობრივი პროდუქციის გამოყენებას, ტექნოლოგიების ლიცენზირებას, ინვესტიციებს, შემხვედრ ვაჭრობასა და მსგავს ქმედებებს ან მოთხოვნებს;
- (l) „ღია ტენდერი“ ნიშნავს შესყიდვის მეთოდს, როდესაც ყველა დაინტერესებულ მიმწოდებელს შეუძლია სატენდერო წინადადების წარდგენა;
- (m) „პირი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;
- (n) „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს პირს, რომელიც განსაზღვრულია XVI დანართის 1- 3 დამატებებში;
- (o) „კვალიფიციური მიმწოდებელი“ ნიშნავს მიმწოდებელს, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის აზრით აკმაყოფილებს ტენდერში მონაწილეობისთვის საჭირო პირობებს;
- (p) „შერჩევითი ტენდერი“ ნიშნავს შესყიდვის მეთოდს, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერში მონაწილეობისთვის მხოლოდ კვალიფიციურ მიმწოდებლებს იწვევს;
- (q) „მომსახურება“ მოიცავს სამშენებლო მომსახურებას, თუ სხვაგვარად არაა განსაზღვრული;
- (r) „სტანდარტი“ ნიშნავს აღიარებული ორგანოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს, რომელიც საერთო და მრავალჯერადი გამოყენებისთვისაა გათვალისწინებული და მოიცავს წესებს, სახელმძღვანელო პრინციპებს ან საქონლისა და მომსახურებების მახასიათებლებს, ან მათთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმოების მეთოდებს, და რომელთა დაცვაც სავალდებულო არ

არის. იგი შეიძლება მოიცავდეს ან ეხებოდეს მხოლოდ ტერმინოლოგიას, სიმბოლოებს, შეფუთვის, მარკირების ან ეტიკეტირების მოთხოვნებს, რამდენადაც ისინი ეხება საქონელს, მომსახურებას, პროცესებს ან წარმოების მეთოდებს;

- (s) „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს ან პირთა ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს ან შეუძლია უზრუნველყოს საქონლის ან მომსახურების მიწოდება;
- (t) „ტექნიკური სპეციფიკაცია“ ნიშნავს ტენდერის მოთხოვნებს, რომლებიც:
  - (i) განსაზღვრავს შესასყიდი საქონლის ან მომსახურების მახასიათებლებს, მათ შორის, ხარისხს, საექსპლუატაციო მახასიათებლებს, უსაფრთხოების მახასიათებლებს, გაბარიტებს ან საქონლის ან მომსახურების წარმოების პროცესებს ან მიწოდების მეთოდებს; ან
  - (ii) ეხება საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, სიმბოლოებს, შეფუთვის, მარკირების ან ეტიკეტირების მოთხოვნებს.

### მუხლი 8.3

#### ***უსაფრთხოება და ზოგადი გამონაკლისები***

1. ამ თავში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ შეზღუდოს მხარე, განახორციელოს რაიმე ქმედება ან არ გაამყდავნოს რაიმე ინფორმაცია, რომელსაც ის მიიჩნევს აუცილებლად თავისი უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად და რომელიც უკავშირდება იარაღის, საბრძოლო მასალის ან საომარი მასალების შესყიდვას ან სახელმწიფო უსაფრთხოების ან სახელმწიფო თავდაცვის მიზნით აუცილებელ შესყიდვებს.

2. იმ პირობით, რომ ასეთი ზომები არ იქნება გამოყენებული იმგვარად, რომ გამოიწვიოს თვითნებური ან დაუსაბუთებელი დისკრიმინაცია მხარეებს შორის, როდესაც მოქმედებს ერთიანი პირობები ან ფარული შეზღუდვები მხარეებს შორის ვაჭრობაზე, არაფერი ამ თავში არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ შეზღუდოს მხარე იმ ზომების დაწესებაში ან განახორციელებაში, რომლებიც:

- (a) აუცილებელია საზოგადოებრივი მორალის, წესრიგის ან უსაფრთხოების დასაცავად;

- (b) აუცილებელია ადამინის, ცხოველების ან მცენარეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად;
- (c) აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად;
- (d) ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, ფილანტროპულ დაწესებულებებთან ან პატიმართა შრომასთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას.

#### მუხლი 8.4

##### *ეროვნული რეჟიმი და დისკრიმინაციის დაუშვებლობა*

1. ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ შესყიდვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ზომასთან მიმართებაში, თითოეული მხარე, თავისი შემსყიდველი ორგანიზაციების ჩათვლით, დაუყოვნებლივ და უპირობოდ, მეორე მხარის საქონლისა და მომსახურების მიმართ, ასევე მეორე მხარის საქონლის ან მომსახურების მიმწოდებლების მიმართ, აწესებს რეჟიმს, რომელიც არანაკლებ ხელსაყრელი იქნება, ვიდრე ის რეჟიმი, რომელიც ადგილობრივ საქონლზე, მომსახურებასა და მიმწოდებლებზე ვრცელდება.
2. ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ზომის გამოყენებისას, მხარემ, მისი შემსყიდველი დაწესებულებების ჩათვლით, არ უნდა:
  - (a) შეუქმნას ადგილობრივ მიმწოდებელს სხვა ადგილობრივ მიმწოდებელთან შედარებით ნაკლებ ხელსაყრელი პირობები, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი უცხოური ორგანიზაციის შვილობილ საწარმოს ან საკუთრებას წარმოადგენს;
  - (b) განახორციელოს ადგილობრივ მიმწოდებლის დისკრიმინაცია იმის გამო, რომ ამ მიმწოდებლის მიერ კონკრეტული შესყიდვისთვის შეთავაზებული საქონელი ან მომსახურება, წარმოადგენს მეორე მხარის საქონელს ან მომსახურებას.

#### მუხლი 8.5

##### *ელექტრონული საშუალებების გამოყენება*

1. მხარეები შეძლებისდაგვარად ეცდებიან, გამოიყენონ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები, რათა ეფექტურად გაავრცელონ ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, განსაკუთრებით, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სატენდერო შესაძლებლობებთან დაკავშირებით, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვით.

2. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვის ელექტრონული საშუალებებით განხორციელებისას, შემსყიდველი დაწესებულება:

- (a) უზრუნველყოფს შესყიდვის განხორციელებისას ისეთი საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემებისა და კომპიუტერული პროგრამების, მათ შორის, ინფორმაციის აუთენტიკაციასთან და შიფრაციასთან დაკავშირებული სისტემების, გამოყენებას, რომლებიც, ჩვეულებრივ, ხელმისაწვდომია და თავსებადია სხვა ხელმისაწვდომ საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან;
- (b) იყენებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ტენდერში მონაწილეობის მიღების თაობაზე განაცხადებისა და სატენდერო წინადადებების დაცულობას, მათი მიღების თარიღის დადგენისა და მათზე უნებართვო დაშვების თავიდან აცილების ჩათვლით.

#### მუხლი 8.6

##### *შესყიდვის განხორციელება*

შემსყიდველი ორგანიზაცია ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ შესყიდვას ახორციელებს გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად, რომ:

- (a) ამ თავის შესაბამისად, გამოყენებულ იქნას ღია ტენდერის, შერჩევითი ტენდერისა და დახურული ტენდერის მეთოდები;
- (b) თავიდან იქნას აცილებული ინტერესთან კონფლიქტს; და
- (c) არ დაუშვას კორუფციულ გარიგებები.

#### მუხლი 8.7

##### *წარმოშობის წესები*

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვის მიზნებისათვის, იმ საქონლის ან მომსახურების მიმართ, რომლებიც იმპორტირებული ან მიწოდებულია მეორე მხარის მიერ, არცერთი მხარე არ იყენებს წარმოშობის



ისეთ წესებს, რომლებიც განსხვავდება მიმწოდებელი მხარის წარმოშობის წესებისგან, რომელსაც იგი იყენებს იმავე პერიოდში ვაჭრობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას.

#### მუხლი 8.8

##### *"ოფსეტი"*

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვისას, მხარე, მისი შემსყიდველი ორგანიზაციის ჩათვლით, არ ეცდება, არ გაითვალისწინებს, არ დააწესებს და არ განახორციელებს რაიმე სახის "ოფსეტის" ტიპის გარიგებას.

#### მუხლი 8.9

##### *ინფორმაცია შესყიდვების სისტემის შესახებ*

1. თითოეული მხარე დაუყოვნებლივ აქვეყნებს შეთანხმებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საერთო გამოყენების ნებისმიერი ზომის შესახებ ინფორმაციას და ამ ინფორმაციის ნებისმიერ ცვლილებას ისეთ ოფიციალურ ელექტრონულ ან ბეჭდვით საშუალებაში, რომელიც ფართოდაა გავრცელებული და ადვილად ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

2. მოთხოვნის შემთხვევაში, თითოეული მხარე ნებისმიერ მეორე მხარეს აწვდის განმარტებას ამ ინფორმაციის თაობაზე.

#### მუხლი 8.10

##### *შეტყობინებები*

1. შეთანხმებით გათვალისწინებული თითოეული შესყიდვისთვის, შემსყიდველი ორგანიზაცია აქვეყნებს შეტყობინებას განზრახული შესყიდვის შესახებ, გარდა მუხლით 8.18 გათვალისწინებული შემთხვევებისა. შეტყობინება ქვეყნდება XVI დანართის მე-7 დამატებაში ჩამოთვლილ ელექტრონულ და ბეჭდვით საშუალებებში. ასეთი საშუალება ფართოდ უნდა იყოს გავრცელებული და შეტყობინებები უნდა დარჩეს ხელმისაწვდომი, სულ მცირე, შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლამდე. შეტყობინებები:

- (a) XVI დანართის პირველ დამატებაში ჩამოთვლილი შემსყიდველი ორგანიზაციების შემთხვევაში, უფასოდ ხელმისაწვდომი უნდა

იყოს ელექტრონული საშუალებებით ერთი წვდომის წერტილიდან; და

(b) XVI დანართის მე-2 ან მე-3 დამატებაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის შემთხვევაში, ელექტრონული საშუალებებით გამოქვეყნებისას, უფასოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს, სულ მცირე, შემავალი (gateway) ელექტრონულ ვებ-გვერდზე გადამამისამართებელი ბმულების საშუალებით.

2. მხარეებს, მათ შორის, XVI დანართის მე-2 ან მე-3 დამატებაში ჩამოთვლილ მხარეებს, ეძლევათ რეკომენდაცია, რომ თავიანთი შეტყობინებები გამოაქვეყნონ ელექტრონული საშუალებებით უფასოდ დაშვების ერთი წერტილიდან (single point of access).

3. თუ ამ თავით სხვაგვარად არაა გათვალისწინებული, თითოეული შეტყობინება განზრახული შესყიდვის შესახებ, უნდა მოიცავდეს XVI დანართის მე-9 დამატებით განსაზღვრულ ინფორმაციას.

4. თითოეული მხარე, თავის შემსყიდველ ორგანიზაციებს აძლევს რეკომენდაციას, ყოველი ფისკალური წლის დასაწყისში XVI დანართის მე-7 დამატებაში ჩამოთვლილ შესაბამის ბეჭდვით ან ელექტრონულ საშუალებაში გამოაქვეყნონ შეტყობინება მათი სამომავლო შესყიდვის გეგმების შესახებ. დაგეგმილი შესყიდვის შესახებ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის საგანი და განზრახული შესყიდვის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების სავარაუდო თარიღი.

5. XVI დანართის მე-2 ან მე-3 დამატებებით განსაზღვრულ შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაგეგმილი შესყიდვის შესახებ შეტყობინება გამოიყენოს, როგორც განზრახული შესყიდვის შესახებ შეტყობინება, თუ დაგეგმილი შესყიდვის შესახებ შეტყობინება შეიცავს მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურად ყველა ინფორმაციას და განცხადებას იმის შესახებ, რომ დაინტერესებულმა მიმწოდებლებმა საკუთარი დაინტერესება შესყიდვებში მონაწილეობასთან დაკავშირებით უნდა გამოხატონ შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ.

## მუხლი 8.11

### *მონაწილეობის პირობები*

1. მონაწილეობის პირობების დაწესებისას და იმის შეფასებისას, აკმაყოფილებს თუ არა მიმწოდებელი ამგვარ პირობებს, მხარემ, მისი შემსყიდველი ორგანიზაციების ჩათვლით:

- (a) შესყიდვაში მონაწილეობის ნებისმიერი პირობა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ისეთი, რომლებიც მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიმწოდებელს გააჩნდეს სამართლებრივი და ფინანსური რესურსი, კომერციული და ტექნიკური შესაძლებლობები შესაბამისი შესყიდვის განსახორციელებლად;
- (b) აფასებს მიმწოდებლის ფინანსურ, კომერციულ და ტექნიკურ შესაძლებლობებს ამ მიმწოდებლის სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე, რომელსაც იგი ეწევა შემსყიდველი მხარის ტერიტორიაზე ან მის გარეთ;
- (c) შეფასების საფუძველად იყენებს მხოლოდ იმ პირობებს, რომლებიც შემსყიდველ დაწესებულებას წინასწარ აქვს განსაზღვრული შეტყობინებებში ან სატენდერო დოკუმენტაციაში;
- (d) არ აწესებს ისეთ პირობას, რომლის მიხედვითაც, შესყიდვაში მონაწილეობისათვის მიმწოდებელს მოეთხოვება, რომ მოცემული მხარის შემსყიდველ ორგანიზაციასთან წარსულში დადებული ჰქონდეს ერთი ან მეტი ხელშეკრულება;
- (e) უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი გამოცდილება, როდესაც ეს მნიშვნელოვანია შესყიდვის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის.

2. დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, მხარემ, მისი შემსყიდველი ორგანიზაციების ჩათვლით, შეიძლება გამორიცხოს მიმწოდებელი ისეთი საფუძველების არსებობისას, როგორებიცაა:

- (a) გაკოტრება;
- (b) ყალბი ინფორმაცია;
- (c) წინა ხელშეკრულებით ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებული რომელიმე არსებითი მოთხოვნის ან ვალდებულების მნიშვნელოვანწილად ან მრავალჯერ არაჯეროვნად შესრულება;
- (d) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მძიმე დანაშაულებზე ან სხვა სერიოზულ სამართალდარღვევებზე;
- (e) სამსახურებრივი გადაცდომა ან ისეთი ქმედებების განხორციელება ან განუხორციელებლობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს მიმწოდებლის კომერციულ კეთილსინდისიერებას;

(f) გადასახადების გადაუხდელობა.

## მუხლი 8.12

### *სარეგისტრაციო სისტემები და საკვალიფიკაციო პროცედურები*

1. მხარემ, მისი შემსყიდველი ორგანიზაციების ჩათვლით, შეიძლება აწარმოოს მიმწოდებლების რეგისტრაციის სისტემა, რომელშიც რეგისტრაცია და გარკვეული ინფორმაციის შეტანა მოეთხოვებათ დაინტერესებულ მიმწოდებლებს.
2. მხარემ, მისი შემსყიდველი ორგანიზაციების ჩათვლით, არ უნდა დანერგოს ან გამოიყენოს ისეთი სარეგისტრაციო სისტემა ან საკვალიფიკაციო პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს თავის შესყიდვაში მეორე მხარის მიმწოდებლების მონაწილეობისთვის ზედმეტი დაბრკოლებების შექმნას.
3. შემსყიდველი ორგანიზაცია, დაუყოვნებლივ ატყობინებს ნებისმიერ მიმწოდებელს, რომელიც წარადგენს მოთხოვნას შესყიდვაში მონაწილეობაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას აღინშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია უარს ეტყვის მიმწოდებელს მონაწილეობის შესახებ მოთხოვნის მიღებაზე ან აღარ ჩათვლის მიმწოდებელს კვალიფიციურად, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებელს დაუყოვნებლივ მიაწვდის წერილობით განმარტებას, თავისი გადაწყვეტილების შესახებ.
4. როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას შერჩევითი ტენდერის პროცედურის გამოყენება სურს, იგი ყველა კვალიფიცირებულ მიმწოდებელს აძლევს კონკრეტულ შესყიდვაში მონაწილეობის საშუალებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია განზრახული შესყიდვის შეტყობინებაში მუთითებს, რომ მიმწოდებლების რაოდენობა შეზღუდულია და განსაზღვრავს კრიტერიუმებს შეზღუდული რაოდენობის მიმწოდებელთა შესარჩევად.

## მუხლი 8.13

### *მრავალჯერადი გამოყენების სიები*

1. შემსყიდველი ორგანიზაცია შეიძლება აწარმოებდეს მიმწოდებლების მრავალჯერადი გამოყენების სიას, იმ პირობით, რომ შეტყობინება, რომელიც იწვევს დაინტერესებულ მიმწოდებლებს სიაში შესაყვანად, ყოველწლიურად ქვეყნდება XVI დანართის მე-7 დამატებაში ჩამოთვლილ საშუალებებში,

ხოლო ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნების შემთხვევაში, ხელმისაწვდომია მუდმივად XVI დანართის მე-7 დამატებაში ჩამოთვლილ ელექტრონულ საშუალებებში. თუ მრავალჯერადი გამოყენების სია მხოლოდ სამი წლით ან ნაკლები ვადითაა ძალაში, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, შეტყობინება მხოლოდ ერთხელ - სიის მოქმედების ვადის დასაწყისში - გამოაქვეყნოს.

2. პირველ პუნქტში გათვალისწინებული შეტყობინებაუნდა შევიდეს XVI დანართის მე-10 დამატებაში მითითებულ ინფორმაციას.

3. შემსყიდველი ორგანიზაცია ყველა მიმწოდებელს აძლევს საშუალებას, ნებისმიერ დროს მიმართონ განცხადებით მას, მრავალჯერადი გამოყენების სიაში შესაყვანად და ამ სიაში შეიყვანს ყველა კვალიფიცირებულ მიმწოდებელს გონივრულად მოკლე ვადაში. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია უარს ამბობს მრავალჯერადი გამოყენების სიაში შეტანასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილებაზე, ან თუ მიმწოდებელს ამოიღებს მრავალჯერადი გამოყენების სიიდან, შემსყიდველი ორგანიზაცია დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს და, მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობით განუმარტავს მას თავისი გადაწყვეტილების მიზეზებს.

#### მუხლი 8.14

#### *სატენდერო დოკუმენტაცია*

1. შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლებისთვის ხელმისაწვდომს ხდის სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც მოიცავს ყველა ინფორმაციას, რაც მიმწოდებლებისათვის საჭიროა სათანადოდ შედგენილი სატენდერო წინადადებების მოსამზადებლად და წარსადგენად. ამგვარი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს XVI დანართის მე-10 დამატებაში მითითებული ინფორმაციის სრულ აღწერილობას, თუ ეს ინფორმაცია უკვე არ იქნა მიწოდებული განზრახული შესყიდვის შესახებ შეტყობინებაში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია არ უზრუნველყოფს ელექტრონული საშუალებებით უფასო პირდაპირ თავისუფალ დაშვებას სრულ სატენდერო დოკუმენტაციასთან და დამხმარე დოკუმენტაციასთან, აღნიშნულმა ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს სატენდერო დოკუმენტაცია მხარეების ნებისმიერი დაინტერესებული მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში. შემსყიდველი დაწესებულებები, ასევე, დაუყოვნებლივ რეაგირებენ ნებისმიერი დაინტერესებული ან მონაწილე მიმწოდებლის ნებისმიერ გონივრულ მოთხოვნაზე, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის მიწოდებას,

იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია აღნიშნულ მიმწოდებელს სხვა მიმწოდებლებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში არ ჩააყენებს.

## მუხლი 8.15

### *ტექნიკური სპეციფიკაციები*

1. დაუშვებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ისეთი ტექნიკური სპეციფიკაციის შემუშავება, მიღება ან გამოყენება, ან შესაბამისობის შეფასების ისეთი პროცედურას დაწესება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მხარეებს შორის ვაჭრობისათვის ზედმეტი დაბრკოლებების შექმნას.

2. საჭიროების შემთხვევაში, საქონლის ან მომსახურებისთვის ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრისას, შემსყიდველი ორგანიზაცია:

(a) განსაზღვრავს ტექნიკურ სპეციფიკაციებს ექსპლუატაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების კუთხით და არა საპროექტო ან აღწერილობითი მახასიათებლების გათვალისწინებით; და

(b) ტექნიკური სპეციფიკაციების საფუძვლად იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის სტანდარტებს, ეროვნულ ტექნიკურ რეგლამენტებს<sup>10</sup>, ეროვნულ სტანდარტებს ან სამშენებლო ნორმებს.

3. თუ ტექნიკურ სპეციფიკაციებში გამოყენებულია საპროექტო ან აღწერილობითი მახასიათებლები, შემსყიდველმა ორგანიზაციამ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიუთითოს, რომ იგი განიხილავს ეკვივალენტური საქონლის ან მომსახურების შესახებ იმ სატენდერო წინადადებებს, რომლებიც აშკარად აკმაყოფილებს შესყიდვის მოთხოვნებს, რისთვისაც სატენდერო დოკუმენტაციაში იყენებს ფრაზას - „ან ეკვივალენტური“.

4. შემსყიდველი ორგანიზაცია არ შეიმუშავებს ისეთ ტექნიკურ სპეციფიკაციებს, რომლებიც მოითხოვს ან უთითებს ცალკეულ სასაქონლო ნიშანს ან სავაჭრო დასახელებას, პატენტს, საავტორო უფლებას, დიზაინს ან ტიპს, სპეციფიკურ წარმომავლობას, მწარმოებელს ან მიმწოდებელს, თუ არ არსებობს შესყიდვის მოთხოვნების აღწერის სხვა საკმარისად ზუსტი ან გასაგები ფორმა, იმ პირობით, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციაში გამოიყენებს ფრაზას - „ან ეკვივალენტური“.

---

<sup>10</sup> საქართველოს, საერთაშორისო სტანდარტებისგან განსხვავებული ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების გამოყენება შეუძლია 2022 წლის სექტემბრამდე.

5. დაუშვებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, კონკურენციისათვის ხელშემშლელი ფორმით, რჩევისათვის იმ პირისადმი მიმართვა, ან იმ პირისაგან რჩევის მიღება, რომელსაც შესაძლოა კომერციული ინტერესი ჰქონდეს შესყიდვაში, თუ ასეთი რჩევა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კონკრეტული შესყიდვისთვის ნებისმიერი ტექნიკური სპეციფიკაციის მოსამზადებლად ან მისაღებად. ეს დებულება ხელს არ უშლის ამ მუხლით გათვალისწინებული წინასწარი საბაზრო კონსულტაციების წარმოებას.

6. მეტი სიცხადისთვის, მხარეს, მისი შემსყიდველი ორგანიზაციების ჩათვლით, ამ მუხლის შესაბამისად შეუძლია მოამზადოს, მიიღოს ან გამოიყენონ ტექნიკური სპეციფიკაციები ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების ან გარემოს დაცვის ხელშესაწყობად.

#### მუხლი 8.16

#### *სატენდერო დოკუმენტაციისა და ტექნიკური სპეციფიკაციების შეცვლა*

თუ ხელშეკრულების დადებამდე, შემსყიდველი ორგანიზაცია მონაწილე მიმწოდებლებისთვის მიწოდებულ შეტყობინებაში ან სატენდერო დოკუმენტაციაში შეასწორებს კრიტერიუმებს ან მოთხოვნებს, ან შეცვლის ან ხელახლა გამოაქვეყნებს შეტყობინებას ან სატენდერო დოკუმენტაციას, იგი წერილობით უგზავნის ყველა ასეთ ცვლილებას, ან შესწორებულ ან ხელახლა გამოცემულ შეტყობინებას ან სატენდერო დოკუმენტაციას:

- (a) ყველა მიმწოდებელს, თუ ასეთი ცნობილია, რომლებიც შეცვლის, შესწორების ან ხელახალი გამოცემის მომენტში ტენდერში მონაწილეობენ, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში, იგივე ფორმით, როგორც ეს თავდაპირველი ინფორმაციის მიწოდებისას მოხდა;
- (b) საკმარისი დროით ადრე, რომ ამგვარ მიმწოდებლებს შესაძლებლობა მიეცეთ შეასწორონ და ხელახლა წარადგინონ შესწორებული სატენდერო წინადადებები.

#### მუხლი 8.17

#### *ვადები*

შემსყიდველი ორგანიზაცია, საკუთარი გონივრული საჭიროებების შესაბამისად, მიმწოდებლებს აძლევს დროს შესყიდვაში მონაწილეობის შესახებ განაცხადისა და სათანადოდ შედგენილი სატენდერო წინადადების

მოსამზადებლად და წარსადგენად, შესყიდვის ხასიათისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით. თითოეული მხარე ვადებს აწესებს XVI დანართის მე-8 დამატებით განსაზღვრული პირობებით. ასეთი ვადები, გახანგრძლივებული ვადების ჩათვლით, ერთნაირია ყველა დაინტერესებული ან შესყიდვებში მონაწილე მიმწოდებლისთვის.

## მუხლი 8.18

### *ლიმიტირებული ტენდერი*

1. იმ პირობით, რომ არ მოხდება ამ დებულების გამოყენება მიმწოდებლებს შორის კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით ან მეორე მხარის მიმწოდებლების დისკრიმინაციის ან ადგილობრივი მიმწოდებლების დაცვის მიზნით, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს ლიმიტირებული ტენდერი და არ გამოიყენოს მუხლები 8.10, 8.11, 8.12, 8.13, 8.14, 8.17, 8.19, 8.20, 8.21 და 8.22, მხოლოდ ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში:

(a) როდესაც:

- (i) არ მომხდარა სატენდერო წინადადებების შეტანა ან არცერთ მიმწოდებელს არ მოუთხოვია მონაწილეობა;
- (ii) არ მომხდარა ისეთი სატენდერო წინადადების წარდგენა, რომელიც დააკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის ძირითად მოთხოვნებს;
- (iii) მონაწილეობის პირობებს არცერთი მიმწოდებელი არ აკმაყოფილებდა;
- (iv) წარდგენილი სატენდერო წინადადებები საიდუმლო გარიგებას ეფუძვნებოდა;

იმ პირობით, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები არსებითად არ იცვლება;

(b) როდესაც საქონლის ან მომსახურების მიწოდება შეუძლია მხოლოდ ერთ კონკრეტულ მიმწოდებელს და არ არსებობს გონივრული ალტერნატივა ან ალტერნატიული საქონელი ან მომსახურება ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მიზეზის გამო:

- (i) მოთხოვნა ეხება ხელოვნების ნიმუშს;



- (ii) პატენტების, საავტორო უფლებების ან სხვა ექსკლუზიური უფლებების დაცვას; ან
  - (iii) ტექნიკური მიზეზების გამო ბაზარზე არ არის კონკურენცია;
- (c) საქონლისა და მომსახურების თავდაპირველი მიმწოდებლის მიერ დამატებით მიწოდებული საქონელი და მომსახურება, რომელიც არ იყო გათვალისწინებული თავდაპირველ შესყიდვაში, როდესაც მიმწოდებლის შეცვლა ასეთი დამატებითი საქონლისა და მომსახურებების მისაწოდებლად:
- (i) ვერ განხორციელდება ეკონომიკური ან ტექნიკური მიზეზების გამო, კერძოდ, ურთიერთშენაცვლებადობის ან ურთიერთოპერაბელურობის მოთხოვნების გამო მოწყობილობების, კომპიუტერული პროგრამების, მომსახურების ან დანადგარების მიმართ, რომლებიც თავდაპირველი შესყიდვის ფარგლებში იქნა შესყიდული; და
  - (ii) შექმნის მნიშვნელოვან სიძნელეებს ან გააორმაგებს ფასებს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;
- (d) შემსყიდველი მხარის მიერ გაუთვალისწინებელი მოვლენების მიზეზით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობის გამო, საქონლის ან მომსახურებების მიწოდება დროულად ვერ მოხერხდა ღია ან შერჩევითი ტენდერის პროცედურების გამოყენებისას;
- (e) საქონელი შესყიდულია სასაქონლო ბაზარზე;
- (f) თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ყიდულობს პროტოტიპს ან პირველ საქონელს ან მომსახურებას, რომელიც მისი მოთხოვნითაა შექმნილი კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში კვლევის, ექსპერიმენტის, შესწავლის ან ორიგინალის გადამუშავების მიზნით. პირველი საქონლის ან მომსახურების ორიგინალის გადამუშავება შეიძლება გულისხმობდეს შეზღუდული რაოდენობით წარმოებას ან მიწოდებას, რათა მოხდეს ექსპლუატაციის პირობებში გამოცდის შედეგების გათვალისწინება და იმის დემონსტრირება, რომ შესაბამისი საქონელი ან მომსახურება ვარგისია იმ რაოდენობით საწარმოებლად ან მიწოდებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტებს, მაგრამ არ გულისხმობს მასიურ წარმოებას ან მიწოდებას ეკონომიკური რენტაბელობის დადგენის ან საცდელ-საკონსტრუქტორო ხარჯების ანაზღაურების მიზნით;

(გ) შესყიდვები, რომლებიც შესრულდა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში, რომლებიც წარმოიშობა ძალზე მოკლე დროის მონაკვეთში არარეგულარული გასხვისებისას, კერძოდ, ლიკვიდაციის, ქონების მმართველის დანიშვნის ან გაკოტრების შედეგად, მაგრამ არა რეგულარული მიმწოდებლებისგან რეგულარული შესყიდვებისთვის;

(h) როდესაც ხელშეკრულება იდება კონკურსში გამარჯვებულთან, იმ პირობით, რომ:

(i) კონკურსი ორგანიზებულია ამ თავის პრინციპების, კერძოდ, განზრახული შესყიდვის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრინციპების შესაბამისად; და

(ii) მონაწილეები ფასებიან დამოუკიდებელი ჟიურის ან კონკურსის კომიტეტის მიერ წარმატებულ კანდიდატთან საპროექტო ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია ამზადებს ანგარიშს წერილობითი ფორმით პირველი პუნქტის მიხედვით გაფორმებული თითოეული ხელშეკრულების შესახებ. ანგარიში უნდა შეიცავდეს შემსყიდველი ორგანიზაციის სახელს, შესყიდული საქონლის ან მომსახურებების ღირებულებასა და სახეს, და განცხადებას, რომელშიც მითითებულია პირველ პუნქტში აღწერილი ის გარემოებები და პირობები, რომლებიც ასაბუთებს ლიმიტირებული ტენდერის ჩატარების აუცილებლობას.

## მუხლი 8.19

### *ელექტრონული აუქციონი*

1. როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია აპირებს შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებას ელექტრონული აუქციონის საშუალებით, აღნიშნული ორგანიზაცია ელექტრონული აუქციონის დაწყებამდე თითოეულ მონაწილეს აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

(a) ავტომატური შეფასების მეთოდის შესახებ, მათემატიკური ფორმულის ჩათვლით, რომელიც შექმნილია სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე და რომელიც გამოყენებული იქნება ავტომატური რანჟირებისთვის ან ხელახალი რანჟირებისთვის აუქციონის მსვლელობის დროს;

- (b) მისი ტენდერის ელემენტების ნებისმიერი თავდაპირველი შეფასების შედეგებს, როდესაც ხელშეკრულება უნდა დიადოს ყველაზე ხელსაყრელი სატენდერო წინადადების საფუძველზე; და
- (c) აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაციას.

## მუხლი 8.20

### *მოლაპარაკებები*

1. მხარეს შეუძლია თავის შემსყიდველ ორგანიზაციებს მისცეს მოლაპარაკებების წარმოების უფლება:

- (a) თუ ორგანიზაციას ამგვარი სურვილის შესახებ მითითებული აქვს განზრახული შესყიდვის შესახებ შეტყობინებაში, მუხლის 8.10 შესაბამისად;
- (b) თუ შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ არცერთი ტენდერი ცალსახად არ აკმაყოფილებს შეტყობინებაში ან სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ კონკრეტულ შეფასების კრიტერიუმებს.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია:

- (a) უზრუნველყოფს, რომ მოპალარაკებებში მონაწილე მიმწოდებლების ნებისმიერი გამოთიშვა მოლაპარაკების პროცესიდან მოხდეს შეტყობინებაში ან სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით; და
- (b) მოპალარაკებების დასრულების შემთხვევაში, განსაზღვრავს საერთო საბოლოო ვადას დარჩენილი მიმწოდებლებისათვის, რათა მათ წარადგინონ ახალი ან შესწორებული სატენდერო წინადადებები.

## მუხლი 8.21

### *მიდგომა ტენდერების მიმართ*

1. შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს, ხსნის და განიხილავს ყველა სატენდერო წინადადებას იმ პროცედურების მიხედვით, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვის პროცესის სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას და სატენდერო წინადადებების კონფიდენციალურობას.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია არ აჯარიმებს არცერთ მიმწოდებელს, რომლის სატენდერო წინადადებაც სატენდერო წინადადებების მიღებისთვის განსაზღვრული ვადის შემდეგ იქნა წარდგენილი, თუ დაგვიანების მიზეზი გახდა შემსყიდველი ორგანიზაციის არასწორი ქმედება.

3. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია, ტენდერის გახსნისა და ხელშეკრულების გაფორმების შორის პერიოდში, მიმწოდებლებს შესაძლებლობას აძლევს გამოასწორონ ფორმაში დაშვებული უნებლიე შეცდომები, შემსყიდველმა ორგანიზაციამ იგივე შესაძლებლობას აძლევს ყველა მონაწილე მიმწოდებელს.

## მუხლი 8.22

### **ხელშეკრულებების დადება**

1. იმისათვის, რომ სატენდერო წინადადება გამარჯვებულად ჩაითვალოს, იგი წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და გახსნის მომენტისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის შეტყობინებებითა და სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ არსებით მოთხოვნებს და უნდა ეკუთვნოდეს მიმწოდებელს, რომელიც აკმაყოფილებს მონაწილეობის პირობებს.

2. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების გაფორმება საზოგადოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება, იგი ხელშეკრულებას აფორმებს იმ მიმწოდებელთან, რომელსაც, მისი აზრით, შესწევს უნარი, შეასრულოს ხელშეკრულების პირობები და რომელსაც, მხოლოდ და მხოლოდ შეტყობინებებსა და სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, წარდგენილი აქვს:

(a) ყველაზე ხელსაყრელი სატენდერო წინადადება; ან

(b) როდესაც ფასი ერთადერთი კრიტერიუმია - ყველაზე დაბალი ფასი.

3. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მიიღებს სხვა სატენდერო წინადადებების ფასებთან შედარებით უჩვეულოდ დაბალი ფასის სატენდერო წინადადებას, მას შეუძლია, მიმწოდებელთან გადაამოწმოს,

რამდენად აკმაყოფილებს იგი ტენდერში მონაწილეობის პირობებს და შესწევს თუ არა უნარი, შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

4. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელმძღვანელობს არასავალდებულო წესებით, წყვეტს ტენდერს ან ცვლილება შეაქვს გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, იგი მოქმედებს ისე, რომ ამ თავში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას თავი არ აარიდოს.

## მუხლი 8.23

### *შესყიდვის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა*

1. შემსყიდველი ორგანიზაცია დაუყოვნებლივ ატყობინებს ტენდერში მონაწილე მიმწოდებლებს ხელშეკრულების გაფორმების შესახებ საკუთარი გადაწყვეტილების თაობაზე, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ამას ასრულებს წერილობით. მუხლი 8.24 მოთხოვნების დარღვევის გარეშე, შემსყიდველი ორგანიზაცია, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუმატებელ მიმწოდებელს განუმარტავს მიზეზებს, რომელთა გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ დაიწუნა მისი სატენდერო წინადადება და ასევე, აწვდის ინფორმაციას მის სატენდერო წინადადებასთან შედარებით გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების უპირატესობების შესახებ.

2. თითოეული ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 72 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია XVI დანართის მე-7 დამატებაში ჩამოთვლილ ბეჭდვით ან ელექტრონულ საშუალებაში აქვეყნებს შეტყობინებას, რომელიც მოიცავს, სულ მცირე, შემდეგ ინფორმაციას ხელშეკრულების შესახებ:

- (a) შესყიდული საქონლის ან მომსახურებების აღწერილობას;
- (b) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებასა და მისამართს;
- (c) გამარჯვებული მიმწოდებლის დასახელებასა და მისამართს;
- (d) გამარჯვებული სატენდერო წინადადების ღირებულებას ან ყველაზე ძვირადღირებულ და იაფ შეთავაზებებს, რომლებიც ხელშეკრულების დადებისას იქნა გათვალისწინებული;
- (e) ხელშეკრულების გაფორმების თარიღს; და
- (f) გამოყენებული შესყიდვის მეთოდის სახეობას, ხოლო მუხლის 8.18 შესაბამისად განხორციელებული ლიმიტირებული ტენდერის

შემთხვევაში, ლიმიტირებული ტენდერის ჩატარების გამამართლებელი გარემოებების აღწერილობას.

3. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია შეტყობინებას მხოლოდ ელექტრონული საშუალებით აქვეყნებს, ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს გონივრული პერიოდის განმავლობაში.

4. თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, სულ მცირე, სამი წლის განმავლობაში, ინახავს დოკუმენტაციასა და სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებულ ანგარიშებს, ასევე, ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს, მათ შორის, მუხლში 8.18 გათვალისწინებულ ანგარიშებსა და მონაცემებს, რომლებიც ელექტრონული საშუალებებით შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვის პროცესის ჩატარების სათანადოდ გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა.

#### მუხლი 8.24

#### *ინფორმაციის გამჟღავნება*

1. მეორე მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მხარემ მას უმოკლეს ვადაში უნდა მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მახასიათებლებისა და უპირატესობების შესახებ სხვა სატენდერო წინადადებებთან შედარებით, რაც საჭიროა იმის გასარკვევად, სამართლიანად, მიუკერძოებლად და ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა თუ არა შესყიდვა.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნება მომავალი ტენდერების კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, მხარე, რომელიც იღებს ამგვარ ინფორმაციას, არ უნდა გაუმჟღავნოს იგი არცერთ მიმწოდებელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონსულტაციების შედეგად ინფორმაციის მიმწოდებელი მხარისგან მიღებული აქვს თანხმობა ამის თაობაზე.

3. ამ თავის ნებისმიერი დებულების მიუხედავად, მხარე, მისი შემსყიდველი ორგანიზაციების ჩათვლით, არ აწვდის ინფორმაციას კონკრეტულ მიმწოდებელს, თუ ამას შეუძლია, დააზარალოს სამართლიანი კონკურენცია მიმწოდებლებს შორის.

4. ამ თავში არაფერი უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ მხარეს, მისი შემსყიდველი ორგანიზაციების, ხელისუფლების ორგანოებისა და მაკონტროლებელი ორგანოების ჩათვლით, მოეთხოვოს ამ თავით

გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც:

- (a) ეს ხელს შეუშლის კანონის აღსრულებას;
- (b) ამან შეიძლება დააზარალოს სამართლიანი კონკურენცია მხარეებს შორის;
- (c) ეს დააზარალებს კონკრეტული პირების ლეგიტიმურ კომერციულ ინტერესებს, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას; ან
- (d) სხვაგვარად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესს.

## მუხლი 8.25

### *მიმწოდებლის საჩივრის განხილვის ეროვნული პროცედურები*

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს დროულ, ეფექტურ, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ ადმინისტრაციული ან სასამართლო განხილვის პროცედურას პროცესუალური ნორმების დაცვით, რომლის საშუალებითაც მიმწოდებელს შეუძლია, გაასაჩივროს:

- (a) ამ თავით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევები;
- (b) მხარის მიერ ამ თავის პირობების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული შესაბამისი ზომების მიუღებლობა, იმ შემთხვევაში, თუ მხარის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით მიმწოდებელს არ აქვს უფლება პირდაპირ გაასაჩივროს ამ თავის პირობების დარღვევა

გამოიყება ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვის კონტექსტში, რომლითაც მიმწოდებელი არის ან იყო დაინტერესებული. გასაჩივრების საპროცესო ნორმები უნდა იყოს წერილობითი ფორმით და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

2. თუ მიმწოდებელს შეაქვს საჩივარი პირველ პუნქტში განსაზღვრული დარღვევის ან შეუსაბამობის გამო და ამ საჩივრის მიზეზი წარმოშობილია ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვის კონტექსტში, რომლითაც მიმწოდებელი არის ან იყო დაინტერესებული, შემსყიდველი ორგანიზაციაპირსა და მიმწოდებელს მოუწოდებს საჩივარი კონსულტაციების გზით გადაწყვიტონ.

3. თითოეულ მიმწოდებელს საჩივრის მოსამზადებლად და წარსადგენად ეძლევა საკმარისი დრო, რომელიც, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები იმ დღიდან, როდესაც საჩივრის საფუძველი გახდა ცნობილი ან, ლოგიკიდან გამომდინარე, უნდა გამხდარიყო მიმწოდებლისთვის.

4. თითოეული მხარე ქმნის ან ნიშნავს, სულ მცირე, ერთ მიუკერძოებელი ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანო, რომელიც დამოუკიდებელი იქნება მხარის შემსყიდველი ორგანიზაციებისაგან (შემდგომში "განმხილველი ორგანო") და რომელიც მიიღებს და განიხილავს მიმწოდებლის საჩივარს, რომელიც განპირობებულია შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვებით.

5. თუ თავდაპირველად საჩივარს მე-4 პუნქტით გათვალისწინებული განმხილველი ორგანოსგან განსხვავებული ორგანო განიხილავს, მხარე უზრუნველყოფს, რომ მიმწოდებელმა შეძლოს თავდაპირველი გადაწყვეტილების გასაჩივრება ისეთ განმხილველ ორგანოში, რომელიც დამოუკიდებელია იმ შემსყიდველ ორგანიზაციაზე, რომლის შესყიდვასთან დაკავშირებითაც გამოთქმულია საჩივარი.

6. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ისეთმა განმხილველმა ორგანომ, რომელიც არ არის სასამართლო, უზრუნველყოს საკუთარი გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გადასინჯვა ან შეიმუშაოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ:

- (a) შემსყიდველმა ორგანიზაციამ წერილობით უპასუხოს საჩივარს და ყველა შესაბამისი დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახადოს განმხილველი ორგანოსთვის;
- (b) პროცესის მონაწილეებს (შემდგომში „მონაწილეები“) უფლება აქვთ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება განმხილველი ორგანოს მიერ საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე;
- (c) მონაწილეებს უფლება ჰქონდეთ უფლება იყოლიონ წარმომადგენელი ან თანმხლები პირი;
- (d) მონაწილეები დაშვებულ იქნენ სამართალწარმოების ყველა პროცესზე;
- (e) მონაწილეებს ჰქონდეთ საჯარო სამართალწარმოების მოთხოვნის და მოწმეების წარდგენის უფლება;
- (f) დავების განმხილველი ორგანო გადაწყვეტილებას იღებდეს ან რეკომენდაციას გასცემდეს დროულად, წერილობითი ფორმით,



რომელიც უნდა განმარტავდეს თითოეული გადაწყვეტილების ან რეკომენდაციის საფუძველს.

7. თითოეული მხარე აწესებს ან ინარჩუნებს პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს:

- (a) სწრაფ დროებით ზომებს მიმწოდებლის შესყიდვაში მონაწილეობის შესაძლებლობის შესანარჩუნებლად, კერძოდ, ტენდერის პროცესის შემაჩერებელ ზომებს. პროცედურები შეიძლება უზრუნველყოფდეს, რომ ასეთი ზომების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას ის უარყოფითი შედეგები, რითაც შეიძლება დაზარალდეს მიმწოდებლის შესაბამისი ინტერესები, მათ შორის, საზოგადოებრივი ინტერესები. უმოქმედობის სამართლიანი საფუძველი წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობით; და
- (b) გამოსასწორებელ ღონისძიებებს ან კომპენსაციას მიყენებული ზარალის ან ზიანის აღმოსაფხვრელად, რომელიც შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ტენდერისთვის მოსამზადებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურებით ან საჩივართან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებით, ან ორივეს ანაზღაურებით, თუ დავების განმხილველი ორგანო დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა ამ თავის პირობების დარღვევას ან უმოქმედობას პირველი პუნქტის მიხედვით.

## მუხლი 8.26

### *შეთანხმების მოქმედების სფეროს შეცვლა და შესწორება*

1. მხარეს შეუძლია ამ თავით განსაზღვრულ მოქმედების სფეროში წმინდად ფორმალური ხასიათის შესწორებები შეიტანოს, ან XVI დანართში მოცემულ ცხრილში უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანოს, იმ პირობით, რომ იგი წერილობით შეატყობინებს ამის შესახებ სხვა მხარეებს და არცერთი სხვა მხარე არ გამოხატავს წინააღმდეგობას წერილობით შეტყობინების მიღებიდან 45 დღის ვადაში. მხარეს ამგვარი შესწორებების ან უმნიშვნელო ცვლილებების შეტანის შედეგად არ მოეთხოვება მხარეებისათვის შესაბამისი კომპენსაციის განხორციელება (compensatory adjustments).

2. მხარეს სხვაგვარადაც შეუძლია ამ თავით რეგულირებული მოქმედების სფეროს შეცვლა, თუ:

- (a) იგი წერილობით შეტყობინებას გაუგზავნის სხვა მხარეებს და, იმავდროულად, შესთავაზებს შესაბამის მხარისათვის მისაღებ საკომპენსაციო კორექტივებს, რათა შენარჩუნდეს შესწორებამდე არსებული რეგულირების დონე, გარდა მე-3 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა; და
- (b) არცერთი მხარე არ გამოთქვამს წერილობითი ფორმით წინააღდეგობას შეტყობინების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში.

3. მხარეს არ მოეთხოვება შეთანხმებაში საკომპენსაციო კორექტივების გათვალისწინება, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ შემოთავაზებული შესწორება ეხება ისეთ შემსყიდველ დაწესებულებას, რომელზედაც მხარემ ფაქტობრივად გააუქმა კონტროლი ან ზეგავლენა. როდესაც მხარე არ ეთანხმება იმ განცხადებას, რომ ამგვარი სამთავრობო კონტროლი ან გავლენა ფაქტობრივად გაუქმებულია, მას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან კონსულტაციები იმ მიზნით, რომ გაარკვიოს ნებისმიერი სამთავრობო კონტროლისა თუ გავლენის ხასიათი და მიაღწიოს შეთანხმებას შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ თავის შესაბამისად მოქმედების სფეროს შენარჩუნებაზე.

#### მუხლი 8.27

##### *თანამშრომლობა*

- 1. მხარეები აღიარებენ, რომ თანამშრომლობა მნიშვნელოვანია მათი შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების სისტემების უკეთ გაცნობის თვალსაზრისით, აგრეთვე, შესაბამის ბაზრებზე უკეთესი წვდომისთვის, განსაკუთრებით, მცირე მეწარმე მიმწოდებლებისთვის.
- 2. მხარეები ცდილობენ, ითანამშრომლონ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:
  - (a) ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება და სახელმწიფო შესყიდვების სისტემებში მათი გამოყენება; და
  - (b) გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა, კერძოდ, საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის, საუკეთესო პრაქტიკისა და სტატისტიკის შესახებ.

#### მუხლი 8.28

## შემდგომი მოლაპარაკებები

იმ შემთხვევაში, თუ მხარე, მომავალში მესამე მხარეს შესთავაზებს დამატებით უპირატესობებს ამ თავით გათვალისწინებულ შესაბამის სახელმწიფო შესყიდვის ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებით, იგი თანხმდება, მეორე მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, დაიწყოს მოლაპარაკებები ამ თავის მოქმედების სფეროს გასაფართოებლად ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე.

### თავი 9

#### კონკურენცია

##### მუხლი 9.1

ეკონომიკურ აგენტებთან დაკავშირებული კონკურენციის წესები

1. ეკონომიკური აგენტების შემდეგი ქმედებები შეუთავსებელია წინამდებარე შეთანხმების სათანადო ფუნქციონირებასთან, რამდენადაც მათ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ მხარეებს შორის ვაჭრობაზე:

- (a) ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებები, ეკონომიკური აგენტების გაერთიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ან ეკონომიკურ აგენტთა შორის შეთანხმებული ქმედებები, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს კონკურენციის დაუშვებლობას, შეზღუდვას ან აკრძალვას;
- (b) ერთი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მხარის ტერიტორიის მთელ ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე.

2. პირველი პუნქტის დებულებები ასევე ვრცელდება სახელმწიფო საწარმოების საქმიანობასა და იმ საწარმოების საქმიანობაზე, რომელთაც მხარეების მიერ მინიჭებული აქვთ სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები, იმდენად, რამდენადაც ამ დებულებების გამოყენება, სამათლებრივად და ფაქტობრივად, ხელს არ უშლის მათთვის განსაზღვრული კონკრეტული საჯარო ვალდებულებების შესრულებას.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების დებულებები არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ რაიმე პირდაპირი ვალდებულება დაეკისროს ეკონომიკურ აგენტებს.

4. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ და კონსულტაციები გამართონ ერთმანეთთან ანტიკონკურენციულ ქმედებებთან დაკავშირებით, როგორც ეს პირველ პუნქტშია მოცემული, რათა აღმოფხვრან ამგვარი ქმედებები ან ვაჭრობაზე მათი უარყოფითი გავლენა. თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს მხარეებისთვის ხელმისაწვდომი შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას. არცერთ მხარეს არ მოეთხოვება ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც მისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით კონფიდენციალურად ითვლება.

5. თუ მხარეს მიაჩნია, რომ მოცემული ქმედება გრძელდება და გავლენას ახდენს ვაჭრობაზე პირველ პუნქტში განსაზღვრული მნიშვნელობით, მე-4 პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლობისა და კონსულტაციის შემდეგ, მას შეუძლია მოითხოვოს ერთობლივ კომიტეტში კონსულტაციის გამართვა. მონაწილე მხარეებმა ერთობლივ კომიტეტს ყველა საჭირო დახმარება უნდა გაუწიონ საქმის მოკვლევაში. ერთობლივი კომიტეტი უნდა შეამოწმოს მიწოდებული ინფორმაცია მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, რათა ხელი შეუწყოს საკითხის ორივე მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტას.

## თავი 10

### ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

#### მუხლი 10.1

#### *კონტექსტი და მიზნები*

1. მხარეები აღიარებენ სტოკჰოლმის 1972 წლის "დეკლარაციას ადამიანის გარემოს შესახებ", რიოს 1992 წლის "დეკლარაციას გარემოსა და განვითარებაზე", 1992 წლის "განაწესს 21-ს გარემოსა და განვითარებაზე", 2002 წლის "იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების გეგმას", 2012 წლის "რიო + 20" შემაჯამებელ დოკუმენტს „მომავალი რომელიც გვინდა“, 1998 წლის შრომის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაციას "შრომის ძირითადი პრინციპებისა და უფლებების და მათი განხორციელების მექანიზმების შესახებ", გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მინისტრიალის 2006 წლის დეკლარაციას „სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის უზრუნველსაყოფად“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 2008 წლის დეკლარაციას "სოციალური თანასწორობა სამართლიანი გლობალიზაციის შესახებ".

2. მხარეები აღიარებენ, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და გარემოს დაცვა მდგრადი განვითარების ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდამხმარე კომპონენტებია. ისინი ხაზს უსვამენ ვაჭრობასთან დაკავშირებულ შრომისა და გარემოსდაცვით საკითხებზე თანამშრომლობის შედეგად მიღებულ სარგებელს, როგორც ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების მიმართ გლობალური მიდგომის ნაწილს.

3. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას იმგვარად, რომ საკუთარი წვლილი შეიტანონ მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევაში და უზრუნველყონ ამ მიზნის ინტეგრირება და ასახვა მხარეების სავაჭრო ურთიერთობებში.

## მუხლი 10.2

### *რეგულირების სფერო*

1. თუ ამ თავით სხვაგვარად არაა გათვალისწინებული, ეს თავი ეხება ზომებს, რომლებიც მიღებული ან შენარჩუნებულია მხარეების მიერ და გავლენას ახდენს ვაჭრობასთან და ინვესტიციებთან დაკავშირებულ შრომისა და გარემოსდაცვით ასპექტებზე.

2. ამ თავში ნებისმიერი მითითება "შრომაზე" გულისხმობს შრომის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „ღირსეული შრომის პროგრამით“ გათვალისწინებულ საკითხებს.

## მუხლი 10.3

### *რეგულირების უფლება და დაცვის ხარისხები*

1. მხარეები აღიარებენ რა თითოეული მხარის უფლებას, წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისად, დაადგინოს გარემოსა და შრომის დაცვის საკუთარი ხარისხი და მიიღოს ან შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა, თითოეული მხარე მიისწრაფვის, უზრუნველყოს, რომ მისი კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა ადგენს და ხელს უწყობს გარემოსა და შრომის დაცვის მაღალი ხარისხის მიღწევას, 10.5 და 10.7 მუხლებში მითითებული სტანდარტების, პრინციპებისა და შეთანხმებების შესაბამისად და მხარეები უნდა ეცადონ გააუმჯობესონ მათი კანონმდებლობითა და პოლიტიკით განსაზღვრული დაცვის ხარისხი .

2. მხარეები აღიარებენ, სამეცნიერო, ტექნიკური და სხვა ტიპის ინფორმაციის, ასევე შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების,

სახელმძღვანელო პრინციპებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მნიშვნელობას, გარემოს დაცვასთან და შრომის პირობებთან დაკავშირებული იმ ღონისძიებებია მომზადების, დაგეგმვისა და განხორციელებისას, რომლებიც გავლენას ახდენენ მხარეებს შორის ვაჭრობასა და ინვესტიციებზე.

#### მუხლი 10.4

##### ***დაცვის ხარისხის შენარჩუნება კანონების, რეგულაციების ან სტანდარტების გამოყენებისას და აღსრულებისას***

1. მხარე უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და შრომითი კანონების, რეგულაციებისა და სტანდარტების ეფექტიან აღსრულებას იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს მხარეებს შორის ვაჭრობასა და ინვესტიციებს.
2. 10.3 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, მხარე არ:
  - (a) ასუსტებს ან ამცირებს მის კანონებში, რეგლამენტებსა და სტანდარტებში გათვალისწინებულ გარემოსა და შრომის დაცვის ხარისხს მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მოიზიდოს მეორე მხარის ინვესტიცია ან შეეცადოს მოიპოვოს ან გაზარდოს მის ტერიტორიაზე მოქმედი მწარმოებლების ან მომსახურების მიმწოდებლების კონკურენტული უპირატესობა ვაჭრობის სფეროში;
  - (b) აუქმებს ან სხვაგვარად არ ზღუდავს, ან სთავაზობს გაუქმებას ან სხვაგვარად შეზღუდვას, ასეთ კანონებს, რეგლამენტებს ან სტანდარტებს იმ მიზნით, რომ მოიზიდოს მეორე მხარის ინვესტიცია ან შეეცადოს მოიპოვოს ან გაზარდოს მის ტერიტორიაზე მოქმედი მწარმოებლების ან მომსახურების მიმწოდებლების კონკურენტული უპირატესობა ვაჭრობის სფეროში;

#### მუხლი 10.5

##### ***შრომის საერთაშორისო სტანდარტები და შეთანხმებები***

1. მხარეები ითვალისწინებენ თავიანთ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოშობილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წევრობიდან და *1998 წელს შრომის საერთაშორისო კონფერენციის 86-ე სესიაზე მიღებული "სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების და მათი განხორციელების მექანიზმების შესახებ" ILO-ს დეკლარაციიდან*, რათა

პატივი სცენ, დაიცვან და განახორციელონ ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებული შემდეგი პრინციპები:

- (a) გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების ეფექტური აღიარება;
- (b) იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
- (c) ბავშვთა შრომის ეფექტური გაუქმება; და
- (d) დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

2. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, "სრული დასაქმებისა და ღირსეული შრომის შესახებ" გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მინისტრიალის 2006 წლის დეკლარაციის შესაბამისად, აღიარონ სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის მნიშვნელობა ყველასათვის, როგორც მდგრადი განვითარების მთავარი ელემენტი ყველა ქვეყნისთვის და როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის უპირატესი მიზანი, აგრეთვე ვალდებულებას მხარი დაუჭირონ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს ყველასათვის სრულ და ნაყოფიერ დასაქმებასა და ღირსეულ შრომას.

3. მხარეები ითვალისწინებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოშობილია ILO-ს წევრობიდან, და რომელიც ითვალისწინებს ვალდებულებას ეფექტურად განახორციელონ მათ მიერ რატიფიცირებული ILO-ს კონვენციები, ასევე ვალდებულებას მუდმივი და განუწყვეტელი ძალისხმევით მოახდინონ ILO-ს ფუნდამენტური კონვენციების რატიფიცირება, აგრეთვე, განიხილონ სხვა კონვენციების რატიფიცირების საკითხი, რომლებიც ILO-ს მიერ კლასიფიცირდება, როგორც „განახლებული“.

4. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ 2008 წელს შრომის საერთაშორისო კონფერენციის 97-ე სესიაზე მიღებული სამართლიანი გლობალიზაციის მიზნებისთვის სოციალური სამართლიანობის შესახებ ILO-ს დეკლარაციის შესაბამისად, სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დარღვევა არ უნდა იქნას გამოყენებული ლეგიტიმურ შედარებით უპირატესობად და რომ შრომის სტანდარტები არ უნდა იქნას გამოყენებული პროტექციონისტული მიზნებისათვის ვაჭრობის სფეროში.

## *ტყის პროდუქტებით ვაჭრობა*

1. ტყის რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობის მიზნით და მის შედეგად, *inter alia*, ტყის სექტორში და მის გარეთ განხორციელებული საქმიანობებით გამოწვეული გაუდაბნობისა და ბუნებრივი ტყისა და ტორფისშემცველი ნიადაგების დეგრადაციით გამოწვეული სათბური გაზების გაფრქვევების შესამცირებლად, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ერთობლივი ძალებით იმუშაონ შესაბამის მრავალმხრივ ფორუმებზე, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ, ასევე არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რათა ხელი შეუწყონ ეროვნული ტყის კანონმდებლობის უკეთ აღსრულებასა და მართვას; ასევე სატყეო, სასოფლო და სამთომოპოვებითი მრეწველობის პროდუქტებით ლეგალური და მდგრადი ვაჭრობის განვითარებას.

2. ამ მიზნის მიღწევისთვის, *inter alia*, შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები: "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციაში (CITES) მითითებული ხის სახეობების, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ჩამონათვალში შეტანა; მდგრადად მოპოვებული ტყის პროდუქტებისთვის სერტიფიცირების სქემების შედგენის ხელშეწყობა; რეგიონული ან ორმხრივი პარტნიორობის ნებაყოფლობითი შეთანხმებების გაფორმება „სატყეო სექტორში კანონაღსრულებისა და მართვის გაუმჯობესებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებით“ ("VPA-FLEGT").

### მუხლი 10.7

#### ***მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები და გარემოსდაცვითი პრინციპები***

მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, თავიანთი კანონმდებლობაში და პრაქტიკაში განახორციელონ იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების ეფექტიანი იმპლემენტაცია, რომელთა ხელშემკვრელ მხარეებსაც თავად წარმოადგენენ და გამოთქვამენ მზადყოფნას დაიცვან 10.1 მუხლში მოხსენიებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებში ასახული გარემოსდაცვითი პრინციპები.

### მუხლი 10.8

#### ***მდგრადი განვითარების ხელშეწყობი ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისება***



1. მხარეები უნდა მიისწრაფოდნენ ხელი შეუწყონ უცხოურ ინვესტიციებს, გარემოსთვის სასარგებლო საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობასა და მათ გავრცელებას, მათ შორის, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების, მდგრადი განახლებადი ენერჯის, ენერგოეფექტური და ეკოლოგიური მარკირების მქონე საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის განვითარებას. ამასთან დაკავშირებული არასატარიფო ბარიერები რეგულირდება ამ ნაწილით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

2. მხარეების უნდა მიისწრაფოდნენ ხელი შეუწყონ უცხოურ ინვესტიციას, ისეთი საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობასა და მათ გავრცელებას, რომელსაც წვლილი შეაქვს მდგრად განვითარებაში, მათ შორის, საქონელსა და მომსახურებას, რომელიც ისეთი სქემების ნაწილია, როგორცაა სამართლიანი და ეთიკური ვაჭრობა.

3. ამ მიზნით, მხარეები თანხმდებიან, გაცვალონ ხედვები და შეიძლება, ერთობლივად ან ორმხრივად, განიხილონ ამ სფეროში თანამშრომლობის საკითხი.

4. მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ საწარმოებს შორის თანამშრომლობას ისეთ საქონელთან, მომსახურებასთან და ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, რომლებსაც წვლილი შეაქვთ მდგრად განვითარებაში და სასარგებლოა გარემოსთვის.

## მუხლი 10.9

### *საერთაშორისო ფორუმებში თანამშრომლობა*

მხარეები უნდა შეეცადონ გააღრმავონ თანამშრომლობა ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში, რომელიც დაკავშირებულია შრომისა და გარემოსდაცვით საკითხებთან და საერთო ინტერესს წარმოადგენს შესაბამის ორმხრივ, რეგიონულ და მრავალმხრივ ფორუმებში, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ.

## მუხლი 10.10

### *განხორციელება და კონსულტაციები*

1. თითოეული მხარე ნიშნავს საკონტაქტო პირს ამ თავის მიზნების განსახორციელებლად.

2. მხარეს შეუძლია, პირველ პუნქტში მოხსენიებული საკონტაქტო პირის საშუალებით, მოითხოვოს ექსპერტის კონსულტაცია ან კონსულტაცია ერთობლივ კომიტეტთან ამ თავთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ საკითხზე. მხარეები ეცდებიან, საკითხი ორივე მხარისათვის მისაღებად გადაწყდეს. საჭიროების შემთხვევაში, მხარეების შეთანხმებით, მათ შეუძლიათ მიმართონ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებს ან ორგანოებს რჩევის მისაღებად.

3. წინამდებარე შეთანხმების მე-12 თავით გათვალისწინებულ არბიტრაჟს მხარეები არ მიმართავენ ამ თავთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

მუხლი 10.11

### *გადასინჯვა*

მხარეები ერთობლივ კომიტეტში პერიოდულად განიხილავენ ამ თავში დასახული მიზნების განხორციელებისას მიღწეულ პროგრესს და საერთაშორისო დონეზე განვითარებულ მოვლენებს, რათა გამოავლინონ ის სფეროები, რომლებშიც დამატებით ღონისძიებების განხორციელებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ მიზნების ხორცშესხმას.

თავი 11

### **ინსტიტუციონალური დებულებები**

მუხლი 11

### *ერთობლივი კომიტეტი*

1. წინამდებარე შეთანხმებით მხარეები ქმნიან EFTA-საქართველოს ერთობლივ კომიტეტს (შემდგომში „ერთობლივი კომიტეტი“), რომელიც შედგება თითოეული მხარის წარმომადგენლობისაგან. მხარეები წარმოდგენილნი არიან ამ მიზნით დანიშნული მაღალი თანამდებობის პირების მიერ.

2. ერთობლივი კომიტეტი:

- (a) აკონტროლებს და ზედამხედველობას უწევს წინამდებარე შეთანხმების შესრულების პროცესს;

- (b) განიხილავს მხარეებს შორის სავაჭრო ბარიერებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა შემზღვეველი ზომების შემდგომი გაუქმების შესაძლებლობას;
- (c) ზედამხედველობას უწევს წინამდებარე შეთანხმების შემდგომ სრულყოფას;
- (d) აკონტროლებს წინამდებარე შეთანხმების მიხედვით შექმნილი ყველა ქვეკომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის მუშაობას;
- (e) ცდილობს, მოაგვაროს წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები;
- (f) განიხილავს ნებისმიერ საკითხს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს წინამდებარე შეთანხმების მოქმედებაზე.

3. ერთობლივმა კომიტეტმა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გადაწყვიტოს ქვეკომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომლებიც კომიტეტს მისი ამოცანების შესრულებაში დაეხმარება. თუ წინამდებარე შეთანხმებაში, სხვაგვარად არაა გათვალისწინებული, ქვეკომიტეტები და სამუშაო ჯგუფები მუშაობენ ერთობლივი კომიტეტის მიერ დადგენილი მანდატით.

4. ერთობლივმა კომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილებები წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სხვა საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი კომიტეტი რეკომენდაციებს გასცემს.

5. ერთობლივი კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს და რეკომენდაციებს გასცემს კონსენსუსის საფუძველზე. თუ წინამდებარე შეთანხმების მიხედვით რომელიმე დებულება მხოლოდ გარკვეულ წევრებს ეხება, ერთობლივი კომიტეტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები და გასცეს რეკომენდაციები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც EFTA-ს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოსა და საქართველოს ეხება. ამგვარ შემთხვევებში კენჭისყრა ტარდება მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებს შორის და გადაწყვეტილებები ან რეკომენდაციები ვრცელდება მხოლოდ ამ მხარეებზე.

6. ერთობლივი კომიტეტი იკრიბება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში. ამის შემდეგ, იგი იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ორ წელიწადში ერთხელ. მისი შეხვედრების ერთობლივად თავმჯდომარეობენ EFTA-ს ერთ-ერთი სახელმწიფო და საქართველო.

7. თითოეულ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს, სხვა მხარეებისათვის წერილობითი შეტყობინების საშუალებით, მოითხოვოს ერთობლივი კომიტეტის საგანგებო სხდომის ჩატარება. ამგვარი სხდომა ტარდება მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

8. ერთობლივმა კომიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს შესწორებების შეტანა წინამდებარე შეთანხმების დანართებში და დამატებებში, და მე-9 პუნქტის შესაბამისად, განსაზღვროს ამ გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

9. თუ ერთობლივ კომიტეტში მხარის წარმომადგენელი მხარს დაუჭერს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც დამოკიდებულია მხარეების მიერ ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებაზე, გადაწყვეტილება ძალაში შედის იმ დღეს, როდესაც ბოლო მხარე გაგზავნის შეტყობინებას, რომ მისი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები შესრულებულია, თუ აღნიშნული გადაწყვეტილებით უფრო გვიანი თარიღი არაა განსაზღვრული. ერთობლივმა კომიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს იმ მხარეებისთვის, რომელთაც დაკმაყოფილებული აქვთ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, თუ საქართველო არის ერთ-ერთი ამ მხარეთა შორის. მხარეს შეუძლია, ერთობლივი კომიტეტის გადაწყვეტილება დროებით გამოიყენოს ამ გადაწყვეტილების მის მიმართ ძალაში შესვლამდე, მისი ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

10. ერთობლივი კომიტეტი ადგენს საკუთარი საქმიანობის წესს.

## თავი 12

### დავების მოგვარება

#### მუხლი 12.1

##### *რეგულირების სფერო და დაფარვის არეალი*

1. ამ თავის დებულებები გამოიყენება ნებისმიერი დავის მოსაგვარებლად, რომელიც წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოიშობა.

2. როგორც წინამდებარე შეთანხმების, ისე WTO-ს შეთანხმების საფუძველზე, ერთსა და იმავე საკითხზე წარმოშობილი დავები შეიძლება მოგვარდეს ამ ორიდან ნებისმიერის ფორუმის ფარგლებში, მომჩივანი მხარის

სურვილისამებრ.<sup>11</sup> ამგვარად შერჩეული ფორუმის გამოიყენებისას მეორე ფორუმი გამოირიცხება.

3. მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, WTO-ს შეთანხმების ფარგლებში დავის მოგვარების პროცედურები შერჩეულად ითვლება, როდესაც მხარე მოითხოვს, "დავების მოგვარების მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების შესახებ WTO-ს შეთანხმების" მუხლით 6 გათვალისწინებული პანელის შექმნას, ხოლო წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში დავის მოგვარების პროცედურები შერჩეულად ჩაითვლება, მხარის მიერ მუხლის 12.4 პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნისას.

## მუხლი 12.2

### *კეთილი სამსახური, მორიგება ან მედიაცია*

1. კეთილი სამსახური, მორიგება ან მედიაცია არის პროცედურები, რომლებიც გამოიყენება ნებაყოფლობით, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში. ისინი შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და შეწყდეს ნებისმიერ დროს, მათ შორის, ამ თავის მიხედვით დაარსებული საარბიტრაჟო პანელის საარბიტრაჟო წარმოების მსვლელობის დროსაც.
2. წარმოება, რომელშიც კეთილი სამსახური, მორიგება ან მედიაციაა გამოყენებული, უნდა იყოს კონფიდენციალური და არ უნდა ახდენდეს გავლენას მხარეთა პოზიციაზე ნებისმიერი შემდგომი წარმოებისას.

## მუხლი 12.3

### *კონსულტაცია*

1. მხარეები ყოველთვის ეცდებიან, შეთანხმდნენ წინამდებარე შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებაზე და ძალისხმევას არ დაიშურებენ, რათა თანამშრომლობისა და კონსულტაციების გზით, ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებლად მოაგვარონ ნებისმიერი საკითხი, რომელიც ამ მუხლის ფარგლებში წარმოიშობა.
2. მხარეს შეუძლია, წერილობით მოითხოვოს კონსულტაციები მეორე მხარესთან, თუ მიიჩნევს, რომ რომელიმე ზომა არ შეესაბამება წინამდებარე შეთანხმებას. მხარე, რომელიც ითხოვს კონსულტაციებს, იმავდროულად,

---

<sup>11</sup> ამ თავის მიზნებისათვის, ტერმინები „მხარე“, „დავის მონაწილე მხარე“, „მომჩივანი მხარე“ და „მოპასუხე მხარე“ შეიძლება აღნიშნავდეს ერთ ან მეტ მხარეს.

სხვა მხარეებს წერილობით ატყობინებს ამ მოთხოვნის შესახებ. მოთხოვნის ადრესატი მხარე მოთხოვნაზე პასუხობს მისი მიღებიდან ათი დღის ვადაში. კონსულტაციები იმართება ერთობლივ კომიტეტში, თუ მოთხოვნის გამგზავნი და მიმღები მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

3. კონსულტაციები იწყება კონსულტაციების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში. გადაუდებელ საკითხებზე, მათ შორის, მალფუჭებად საქონელზე, კონსულტაციები იწყება კონსულტაციების მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში. თუ მოთხოვნის ადრესატი მხარე არ უპასუხებს მოთხოვნას ათი დღის განმავლობაში, ან არ დაიწყებს კონსულტაციებს კონსულტაციების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო გადაუდებელი საკითხების შემთხვევაში - 15 დღის ვადაში, მომთხოვნი მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს საარბიტრაჟო პანელის დაარსება მუხლის 12.4 შესაბამისად.

4. დავის მონაწილე მხარეები წარადგენენ საკმარის ინფორმაციას, რათა სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული, შეესაბამება თუ არა კონკრეტული ზომა წინამდებარე შეთანხმებას და კონსულტაციებისას გაზიარებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას ეპყრობიან იგივენაირად, როგორც ინფორმაციის მომწოდებელი მხარე.

5. კონსულტაციები არის კონფიდენციალური და არ ახდენს გავლენას მხარეების უფლებებზე არცერთი შემდგომი წარმოებისას.

6. დავის მონაწილე მხარეები სხვა მხარეებს ატყობინებენ აღნიშნული საკითხის ურთიერთშეთანხმებულად გადაწყვეტის შესახებ.

#### მუხლი 12.4

##### **საარბიტრაჟო პანელის დაარსება**

1. თუ მოპასუხე მხარის მიერ კონსულტაციების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 60 დღის, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში, მალფუჭებადი საქონელი ჩათვლით, 30 დღის ვადაში, მუხლით 12.3 გათვალისწინებული კონსულტაციების შედეგად დავა ვერ მოგვარდა, მომჩივან მხარეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო პანელის შექმნა წერილობითი მოთხოვნის საშუალებით, რომელსაც უგზავნის მოპასუხე მხარეს. ამ მოთხოვნის ასლი ეგზავნება სხვა მხარეებსაც, რათა მათ გადაწყვიტონ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა საარბიტრაჟო პროცესში.

2. საარბიტრაჟო პანელის შექმნის მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ზომა, რომელიც დავის საგანს წარმოადგენს და საჩივრის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების მოკლე შინაარსი.

3. საარბიტრაჟო პანელის შედგება სამი წევრისგან, რომლებიც ინიშნებიან, 1992 წლის 20 ოქტომბრიდან მოქმედი, "ჰააგის მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული ორ სახელმწიფოს შორის დავების მოგვარების ფაკულტატური წესების" შესაბამისად (შემდგომში „ფაკულტატური წესები“) შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარე ინიშნება იმავე დღეს, როდესაც იქმნება საარბიტრაჟო პანელი.

4. თუ საარბიტრაჟო პანელის შექმნის მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის ვადაში დავის მონაწილე მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, საარბიტრაჟო პანელის უფლებამოსილების ფარგლებში შედის:

„წინამდებარე შეთანხმების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით, შეისწავლოს საარბიტრაჟო პანელის შექმნის მოთხოვნაში მითითებული საკითხი მუხლის 12.4 შესაბამისად და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნები საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ასევე გასცეს რეკომენდაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დავის მოსაგვარებლად და შესაბამისი გადაწყვეტილების შესასრულებლად“.

5. თუ საარბიტრაჟო პანელის შექმნას ერთსა და იმავე საკითხზე ერთზე მეტი მხარე ითხოვს, ან თუ საჩივარი ერთზე მეტ მოპასუხე მხარეს ეხება, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, უნდა შეიქმნას ერთი საარბიტრაჟო პანელი, რომელიც განიხილავს ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებული საჩივრებს.

6. მხარე, რომელიც არ არის დავის მონაწილე მხარე, უფლებამოსილია, დავის მონაწილე მხარეებისათვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის შემდეგ, საარბიტრაჟო პანელს წარუდგინოს წერილობითი მასალები და მიიღოს წერილობითი მასალები, მათ შორის, დანართები, დავის მონაწილე მხარეებისგან, დაესწროს სხდომებს და გააკეთოს ზეპირი განცხადებები.

## მუხლი 12.5

### *საარბიტრაჟო პანელის პროცედურები*

1. თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვაგვარად არაა განსაზღვრული, ან დავის მონაწილე მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, პანელის პროცედურები რეგულირდება ფაკულტატური წესების მიხედვით, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით (*mutatis mutandis*).

2. საარბიტრაჟო პანელი განიხილავს საარბიტრაჟო პანელის შექმნის მოთხოვნაში მითითებულ საკითხს წინამდებარე შეთანხმების შესაბამისი დებულებების მიხედვით, რომლებიც განიმარტება საერთაშორისო საჯარო სამართლის განმარტების წესების შესაბამისად.
3. ნებისმიერი საარბიტრაჟო წარმოება წარიმართება ინგლისურ ენაზე. საარბიტრაჟო პანელის სხდომები ღიაა საზოგადოებისთვის, თუ მოდავე მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.
4. დაუშვებელია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით საარბიტრაჟო პანელთან ნებისმიერი *ex parte* ურთიერთობა.
5. მხარე თავის წერილობით მასალებს, ზეპირი განცხადებების ნებისმიერ წერილობით ვერსიასა და საარბიტრაჟო პანელის მიერ დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებს წარუდგენს საარბიტრაჟო პანელს და, ამავედროულად, გაუგზავნის დავის მონაწილე მეორე მხარეს.
6. მხარეები საარბიტრაჟო პანელისათვის წარდგენილ ინფორმაციას მიიჩნევენ კონფიდენციალურად, თუ ინფორმაციის წარმდგენი მხარის მიერ ეს ინფორმაცია განსაზღვრულია, როგორც კონფიდენციალური.
7. საარბიტრაჟო პანელი გადაწყვეტილებებს იღებს წევრების ხმათა უმრავლესობით. ნებისმიერ წევრს შეუძლია წარადგინოს განსხვავებული აზრი ისეთ საკითხებზე, რომლებზედაც ერთსულოვანი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. საარბიტრაჟო პანელი არ ასაჯაროებს, რომელი წევრების მოსაზრებები მიეკუთვნება უმრავლესობის მოსაზრებებს და რომლის - უმცირესობის.

## მუხლი 12.6

### *საარბიტრაჟო პანელის ანგარიში*

1. საარბიტრაჟო პანელმა, მისი შექმნის დღიდან არაუგვიანეს 90 დღეში, დავის მონაწილე მხარეებს უნდა წარუდგინოს პირველადი ანგარიში, რომელშიც შევა მისი დასკვნები და გადაწყვეტილებები. დავის მონაწილე მხარეს შეუძლია, საარბიტრაჟო პანელს მის პირველად ანგარიშთან დაკავშირებით წარუდგინოს შენიშვნები ანგარიშის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში. საარბიტრაჟო პანელი დავის მონაწილე მხარეებს საბოლოო ანგარიშს წარუდგენს მხარეების მიერ პირველადი ანგარიშის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.



2. საბოლოო ანგარიში, ასევე, მუხლებში 12.8 და 12.9 გათვალისწინებული ნებისმიერი ანგარიში, ეგზავნება მხარეებს. ანგარიშები უნდა გასაჯაროვდეს, თუ მოდავე მხარეები სხვაგვარად არ თანხმდებიან.

3. საარბიტრაჟო პანელის ნებისმიერი გადაწყვეტილება, ამ თავის ნებისმიერი დებულების მიხედვით, არის საბოლოო და დავის მონაწილე მხარეებისთვის შესასრულებლად სავალდებულო.

## მუხლი 12.7

### *საარბიტრაჟო წარმოების შეჩერება ან შეწყვეტა*

1. დავის მონაწილე მხარეების შეთანხმებით, საარბიტრაჟო პანელს შეუძლია შეაჩეროს მუშაობა ნებისმიერ დროს, არაუმეტეს 12 თვით. თუ საარბიტრაჟო პანელის მუშაობა შეჩერებულია 12 თვეზე მეტი ხნით, საარბიტრაჟო პანელს დავის განიხილვის უფლებამოსილება ამოეწურება, თუ მოდავე მხარეები სხვაგვარად არ თანხმდებიან.

2. მომჩივან მხარეს, პირველადი ანგარიშის გამოცემამდე ნებისმიერ დროს, შეუძლია საჩივრის გამოტანა. საჩივრის გამოტანა არ ნიშნავს, რომ იგი მოგვიანებით ვეღარ შეძლებს ახალი საჩივრის შეტანას იმავე საკითხზე.

3. დავის მონაწილე მხარეებს უფლებ აქვთ, შეთანხმების შემთხვევაში, ნებისმიერ ეტაპზე შეწყვიტონ საარბიტრაჟო წარმოება, რომელიც წინამდებარე შეთანხმების მიხედვით შექმნილ საარბიტრაჟო პანელში მიმდინარეობს, რისთვისაც ერთობლივ წერილობით შეტყობინებას უგზავნიან საარბიტრაჟო პანელის თავმჯდომარეს.

4. საარბიტრაჟო პანელს შეუძლია, საბოლოო ანგარიშის გამოცემამდე, წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, შესთავაზოს მოდავე მხარეებს დავის მეგობრულად მოგვარება.

## მუხლი 12.8

### *პანელის საბოლოო ანგარიშის შესრულება*

1. მოპასუხე მხარე დაუყოვნებლივ ასრულებს საბოლოო ანგარიშში მითითებულ გადაწყვეტილებას. თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება შეუძლებელია, დავის მონაწილე მხარეები ცდილობენ გადაწყვეტილების შესრულების გონივრულ ვადაზე შეთანხმდნენ. თუ საბოლოო ანგარიშის გამოცემიდან 45 დღის განმავლობაში ამგვარი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, დავის მონაწილე ნებისმიერ მხარეს

შეუძლია, თავდაპირველ საარბიტრაჟო პანელს სთხოვოს გონივრული ვადის განსაზღვრა საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. საარბიტრაჟო პანელი გადაწყვეტილებას იღებს ამგვარი მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2. მოპასუხე მხარე მეორე მხარეს ატყობინებს საბოლოო ანგარიშის გადაწყვეტილების შესასრულებლად მიღებული ზომის შესახებ, ასევე, აწვდის დაწვრილებით აღწერილობას იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყოფს ეს ზომა გადაწყვეტილების შესრულებას, რათა მეორე მხარეს მიეცეს საკმარისი შესაძლებლობა, რომ შეაფასოს აღნიშნული ზომა.

3. საბოლოო ანგარიშში მითითებული გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭირო ზომის არსებობაზე ან ამ ზომის გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაზე მხარეების უთანხმოების შემთხვევაში, დავის მონაწილე რომელიმე მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნულ უთანხმოებას წყვეტს იგივე საარბიტრაჟო პანელი, სანამ შესაძლებელი გახდება კომპენსაციის მოთხოვნა ან შეღავათების შეჩერება მუხლის 12.9 შესაბამისად. საარბიტრაჟო პანელი გადაწყვეტილებას იღებს მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში.

## მუხლი 12.9

### *კომპენსაცია და კონცესიების ან სხვა ვალდებულებების შეჩერება*

1. თუ მოპასუხე მხარე არ ასრულებს მუხლით 12.8 გათვალისწინებულ საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილებას, ან მომჩივან მხარეს ატყობინებს, რომ იგი არ აპირებს პანელის საბოლოო ანგარიშში მითითებული გადაწყვეტილების შესრულებას, ეს მხარე, მომჩივანი მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია დაიწყოს კონსულტაციები ორივე მხარისათვის მისაღებ კომპენსაციაზე შესათანხმებლად. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი კონსულტაციები მოთხოვნილი იყო და შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის განმავლობაში, მომჩივანი მხარე უფლებამოსილია, შეაჩეროს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მხოლოდ ის კონცესიები ან სხვა ვალდებულებები, რომლებიც იმ კონცესიების ან სხვა ვალდებულებების ეკვივალენტურია, რომლებზეც გავლენა იქონია საარბიტრაჟო პანელის მიერ წინამდებარე შეთანხმებასთან შეუსაბამოდ მიჩნეულმა ზომამ.

2. იმაზე მსჯელობისას, თუ რომელი კონცესიები ან სხვა ვალდებულებები უნდა შეჩერდეს, მომჩივანი მხარე, პირველ რიგში, უნდა ეცადოს იმ კონცესიების ან სხვა ვალდებულებების შეჩერებას, რომლებიც იმავე სექტორს ან სექტორებს ეკუთვნიან, რომელზეც გავლენა იქონია იმ ზომამ, რომელიც საარბიტრაჟო პანელის მიერ წინამდებარე შეთანხმებასთან

შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული. თუ მომჩივანი მხარე მიიჩნევს, რომ კონცესიების ან სხვა ვალდებულებების შეჩერება იმავე სექტორში ან სექტორებში არაპრაქტიკული ან არაეფექტურია, მას შეუძლია შეაჩეროს კონცესიები ან სხვა ვალდებულებები სხვა სექტორებში.

3. მომჩივანი მხარე, შეჩერების ძალაში შესვლის თარიღამდე, არაუგვიანეს 30 დღისა, მოპასუხე მხარეს ატყობინებს თუ რომელი კონცესიების ან სხვა ვალდებულებების შეჩერებას აპირებს, აგრეთვე, ამგვარი შეჩერების მიზეზებს და შეჩერების ძალაში შესვლის დროს. ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, მოპასუხე მხარეს შეუძლია, თავდაპირველ საარბიტრაჟო პანელის მოსთხოვოს გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ის კონცესიები ან სხვა ვალდებულებები, რომელთა შეჩერებასაც მომჩივანი მხარე აპირებს, იმ კონცესიების ან სხვა ვალდებულებების ეკვივალენტური, რომლებიც წინამდებარე შეთანხმების შეუსაბამოდ აღიარებული ზომის გამო დაზარალდა, და იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა შემოთავაზებული შეჩერება პირველ და მე-2 პუნქტებს. საარბიტრაჟო პანელი გადაწყვეტილებას იღებს ამგვარი მოთხოვნის მიღებიდან 45 დღის განმავლობაში. კონცესიები ან სხვა ვალდებულებები არ შეჩერდება, სანამ საარბიტრაჟო პანელი გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

4. კომპენსაცია და კონცესიების ან სხვა ვალდებულებების შეჩერება დროებითი ზომებია და მათი გამოყენება მხოლოდ მომჩივან მხარეს შეუძლია მანამ, სანამ წინამდებარე შეთანხმების შეუსაბამოდ აღიარებული ზომა არ გაუქმდება ან შესწორდება იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს წინამდებარე შეთანხმებას, ან სანამ მოდავე მხარეები დავას სხვაგვარად არ გადაწყვეტენ.

5. დავის მონაწილე მხარის მოთხოვნით, თავდაპირველი საარბიტრაჟო პანელი გადაწყვეტს, რამდენად შეესაბამება საბოლოო ანგარიშს ნებისმიერი საიმპლემენტაციო ზომა, რომელიც მიღებულია კონცესიების ან სხვა ვალდებულებების შეჩერების შემდეგ, და ამგვარი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, უნდა შეწყდეს ან შეიცვალოს თუ არა კონცესიების ან სხვა ვალდებულებების შეჩერება. საარბიტრაჟო პანელი გადაწყვეტილებას იღებს ამგვარი მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

## მუხლი 12.10

### *სხვა დებულებები*

1. მუხლებში 12.8 და 12.9 მოხსენიებული საარბიტრაჟო პანელი, შეძლებისდაგვარად, უნდა შედგებოდეს იმავე არბიტრებისგან, რომელთაც გამოსცეს საბოლოო ანგარიში. თუ თავდაპირველი საარბიტრაჟო პანელი წევრის მონაწილეობა შეუძლებელია, ახალი არბიტრი ინიშნება

თავდაპირველი არბიტრის შესარჩევად დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

2. ამ თავში ნახსენები ნებისმიერი ვადა შეიძლება შეიცვალოს დავის მონაწილე მხარეების ურთიერთშეთანხმებით.

3. თუ საარბიტრაჟო პანელი მიიჩნევს, რომ მას არ შეუძლია დაიცვას ამ თავით მისთვის განსაზღვრული ვადა, იგი წერილობით აცხადებს დავის მონაწილე მხარეებს და აუწყებს დამატებით საჭირო ვადის შესახებ. დამატებითი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

### **თავი 13**

#### **დასკვნითი დებულებები**

##### **მუხლი 13.1**

#### **დანართები და დამატებები**

წინამდებარე შეთანხმების დანართები და მათი დამატებები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

##### **მუხლი 13.2**

#### **ცვლილებები**

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია, ერთობლივ კომიტეტს მიმართოს წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებები შეტანის წინადადებით, რათა მან განიხილოს და გასცეს რეკომენდაცია.

2. თუ მუხლის 11მე-8 პუნქტით სხვაგვარად არაა გათვალისწინებული, წინამდებარე შეთანხმებაში შესატანი ცვლილებები წარედგინება მხარეებს რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცებისთვის, მათი შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად. ცვლილებების ტექსტი და რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტები ინახება დეპოზიტართან.

3. წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებები ძალაში შედის იმ თარიღის შემდეგ მესამე თვის პირველი რიცხვიდან, როდესაც EFTA-ს, სულ მცირე, ერთი სახელმწიფო და საქართველო საკუთარ რატიფიცირების, მიღების ან

დამტკიცების დოკუმენტებს გადასცემენ დეპოზიტარს. EFTA-ს იმ სახელმწიფოს მიმართებაში, რომელიც საკუთარ რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტებს ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ გადასცემს დეპოზიტარს, ცვლილება ძალაში შევა დოკუმენტის გადაცემიდან მესამე თვის პირველ დღეს.

4. ცვლილებები, რომლებიც EFTA-ს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოსა და საქართველოს ეხება, თანხმდება მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებს შორის.

5. თუ შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები ამის საშუალებას იძლევა, EFTA-ს ნებისმიერ სახელმწიფოს ან საქართველოს შეუძლია, ნებისმიერი ცვლილება გამოიყენოს დროებით, ამ მხარისთვის მის ძალაში შესვლამდე. ცვლილებების დროებითი გამოყენების შესახებ უნდა ეცნობოს დეპოზიტარს.

### მუხლი 13.3

#### *მიერთება*

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ხდება EFTA-ს წევრი, შეუძლია მიუერთდეს ამ შეთანხმებას, თუ ერთობლივი კომიტეტი დაამტკიცებს მის მიერთებას მხარეებსა და მიერთების მსურველ სახელმწიფოს შორის შესათანხმებელი პირობების საფუძველზე.

2. მიერთების შესახებ დოკუმენტი უნდა გადაეცეს დეპოზიტარს. მიერთების მსურველ სახელმწიფოსთან მიმართებაში, წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპოზიტარისთვის გადაცემიდან მესამე თვის პირველ დღეს, ან არსებული მხარეების მიერ მიერთების პირობების დამტკიცების შემდეგ, რომელიც უფრო გვიან მოხდება.

### მუხლი 13.4

#### *წინამდებარე შეთანხმებიდან გამოსვლა და შეთანხმების ვადის გასვლა*

1. თითოეულ მხარეს შეუძლია გამოვიდეს წინამდებარე შეთანხმებიდან, დეპოზიტარისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. შეთანხმებიდან გამოსვლა ძალაში შევა დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

2. თუ საქართველო გამოვა წინამდებარე შეთანხმებიდან, მისი მოქმედების ვადა გამოსვლის ძალაში შესვლისთანავე ამოიწურება.

3. EFTA-ს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც გადის ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის დამფუძნებელი კონვენციიდან, *ipso facto*, გასვლის ძალაში შესვლის დღიდან აღარ ითვლება ამ ხელშეკრულების მხარედ.

### მუხლი 13.5

#### **ძალაში შესვლა**

1. წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას მხარეების შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტები ინახება დეპოზიტართან.

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის იმ თარიღის შემდეგ მესამე თვის პირველი დღიდან, როდესაც EFTA-ს, სულ მცირე, ერთი სახელმწიფო და საქართველო საკუთარ რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტებს გადასცემენ დეპოზიტარს.

3. EFTA-ს იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც საკუთარ რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტებს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ გადასცემს დეპოზიტარს, წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის დოკუმენტის დეპოზიტარისთვის გადაცემიდან მესამე თვის პირველ დღეს.

4. თუ შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები ამის საშუალებას იძლევა, EFTA-ს ნებისმიერ სახელმწიფოს ან საქართველოს შეუძლია წინასწარ გამოიყენოს წინამდებარე შეთანხმება, ამ მხარისთვის შეთანხმების ძალაში შესვლამდე. ამ პუნქტის შესაბამისად წინამდებარე შეთანხმების წინასწარ გამოყენების შესახებ ეცნობება დეპოზიტარს.

### მუხლი 13.6

#### **დეპოზიტარი**

დეპოზიტარის ფუნქციას ნორვეგიის მთავრობა ასრულებს.

რის დასტურადაც, შესაბამისად უფლებამოსილი ქვემოთ ხელისმომწერი

ხელს აწერენ წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია ბერნში, 2016 წლის 27 ივნისი, ინგლისურ ენაზე ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება დეპოზიტართან, რომელიც დამოწმებულ ასლებს უგზავნის ყველა მხარეს.

ისლანდიის სახელით

საქართველოს სახელით

.....

.....

ლინხენშტაინის სამთავროს სახელით

.....

ნორვეგიის სამეფოს სახელით

.....

შვეიცარიის კონფედერაციის სახელით

.....